ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ.-ცნო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამკლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 11 თებერვალი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 34 (1189)

დღიური

— ამერიკაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია.

— იაპონიაში საზეიმო კრებები იმართება საბჭოთა კავშირთან შეთანხმების გამო.

— ამსტერდამის ინტერნაციონალი უნაყოფოთ [illegible] კაპიტალისტთა ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლას.

— სპეკულიანტ ბარმატისგან ქრთამს იღებდნენ ბელგიელიც.

— ერრიოს მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავს კომუნისტების წინააღმდეგ კოლონიებში.

მუშაობა სოფლად და სოფლის კომუჯრედი

ჩვენ გვსურს შევეხოთ კიდევ (და მომავალშიც არა ერთხელ მოგვიხდება ამაზე ლაპარაკი) სოფლად მუშაობას.

ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის დებულება, რომ ამ მუშაობაში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ არა მარტო პარტიულ და ახლო-პარტიულ ელემენტებს, არამედ უპარტიო გლეხობასაც, რომელიც სდგას არსებული ხელისუფლების პლატფორმაზე, სურს მუშაობა ამ ნიადაგზე და ეწევა კიდევაც ასე თუ ისე ამ მუშაობას. ვამბობთ: ასე თუ ისე, რადგან ჩვენგანვე არის დამოკიდებული თუ რამდენათ აქტიური, რამდენათ ღრმა და ფართო იქნება უპარტიო გლეხობის მუშაობა ჩვენი ადგილობრივი შემოქმედების სხვა და სხვა დარგში. შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლათ ითქვას, რომ **უმთავრესათ** ადგილობრივი პარტიულ ამხანაგებისაგან არის დამოკიდებული ხელისუფლებასთან გლეხობის დაახლოების საქმე, მუშებისა და გლეხობის მჭიდროდ დაკავშირების საქმე. ამ პარტიულ ამხანაგებს და მათ კომუჯრედებს შეუძლიათ როგორც ჩაშლა ამ მუშაობის, ისე მისი წარმატება და აყვავება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში იმას თუ რამდენათ მოხერხებულათ უდგება უპარტიოებთან თანამშრომლობას ჩვენი პარტმუშაკები. ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღებით გაირჩა პარტუჯრედების თათბირზე, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. აუცილებლათ საჭიროა, რომ პარტიულ მუშაკებსა და უპარტიო გლეხობის შორის არ იყოს აღმართული უნდობლობის ზღუდე.

ასეთ უნდობლობას აქა-იქ ადგილი აქვს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. მას თავისი ტრადიცია აქვს, მისი ფესვები ძველი რეჟიმის მოგონებაშია და გარდა ამისა იმ შეცდომებში, რომლებსაც ხშირათ სჩადიან საბჭოთა და პარტიული მუშაკები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში სოფლად, განსაკუთრებით სოფლის მივარდნილ ადგილებში. და რაც ყველაზე უარესია ზოგან ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო უბრალო შეცდომებთან, არამედ ბოროტმოქმედებასთან, ამა თუ იმ მუშაკის მიერ თავის მდგომარეობის ბოროტათ გამოყენებასთან.

ერთი სიტყვით მეტი ნდობა უპარტიოებისადმი, რომლებსაც სურთ ჩვენთან მუშაობა და კიდევაც მუშაობენ. ასეთ ურთიერთ ნდობის დამკვიდრებას პარტიასა და უპარტიო გლეხთა შორის ვერ შეუწყობს ხელს მაგალითად ასეთი ფაქტები.

„რაიაღმასკომში შედის ორი პარტიული და ერთიც უპარტიო ამხანაგი. კრება, შემდგარი აღმასკომის ორი წევრისაგან, ადგილობრივი იაჩეიკის წარმომადგენლისაგან და კომკავშირელისაგან არჩევს საკითხს აღმასკომის მუშაობის შესახებ და არ ისწრებს აღმასკომის წევრს უპარტიო გლეხს".

ადვილათ წარმოსადგენია სულიერი განწყობილება იმ გლეხების, რომელსაც აღმასკომის ეს უპარტიო წევრი გადასცემს ამ ამბავს. გლეხობა ხედავს ამაში უნდობლობას. ასეთი შედეგი მოჰყვება კომუჯრედის, პარტიული მუშაკების მოქცევას თავიანთ ნაჭუჭში, მათ მიუკარებლობას უპარტიოებისადმი საზოგადოთ და განსაკუთრებით ისეთი საკითხების გარჩევის დროს, რომლებიც ეხებიან უშუალოთ მათ ან იმ დაწესებულებას, სადაც ისინი მუშაობენ.

ან კიდევ ასეთი შემთხვევა.

„საბჭოთა ერთ სამაზრო ყრილობაზე—სწერენ მოსკოვის „პრავდას"—კომფრაქციამ წარადგინა აღმასკომში ასარჩევათ კანდიდატების სია. უპარტიონი წინააღმდეგი იყვნენ ასეთი წესით არჩევისა. ფრაქცია არ დასთანხმდა ამაზე. უპარტიოებმა მოაწყვეს დახურული თათბირი, რომელზეც შეადგინეს უპარტიოების ახალი სია. ვინაიდან ყრილობის უმრავლესობა შესდგებოდა უპარტიოებისაგან, ფრაქცია დასთანხმდა პერსონალურ არჩევნებზე. არჩევნები დათავდა მით, რომ აღმასკომში გავიდნენ ყველა კომუნისტები. ხოლო იმ კამათის მიხედვით, რომელიც გამოიწვია არჩევნების წესმა, კაცი იფიქრებდა, რომ ერთი მხრით—პარტიულებისა და მეორე მხრით—უპარტიოთა შორის თითქოს ადგილი ჰქონოდეს შეურიგებელ მტრობას".

ეს ფაქტი აღსანიშნავია. ის მოწმობს იმაზე, რომ მტრული განწყობილება პარტიასა და უპარტიოთა შორის **შეიძლება** ხელოვნურათ შეიქმნეს მაშინ, როდესაც ამას არავითარი საფუძველი და ნიადაგი არა აქვს და მხოლოთ შედეგია უტაქტობისა და საქმისადმი უუნარო მიდგომის. იქაც კი, სადაც ფრაქციის ასეთი გამოსვლა **საჭიროა** დროისა და გარემოების მიხედვით,—ეს უნდა მოხდეს საჭირო წინდახედულობით ე. ი. უპარტიო კანდიდატებისათვის სათანადო ანგარიშის გაწევით.

ერთი სიტყვით ჩვენი მუშაობა სოფლათ უნდა ეყრდნობოდეს, როგორც ზევით ვსთქვით, არა მარტო პარტიულ ელემენტებს, არამედ უპარტიოებსაც და ეს საქმით და არა მხოლოთ ლიტონი სიტყვით. ხოლო ეს საქმე უნდა მოაგვაროს ადგილობრივ პარტიულმა მუშაკებმა. ცხადია რა დიდი მოვალეობა აწევთ სოფლის კომუჯრედებს, რომლებისაგან არის უმთავრესათ დამოკიდებული ადგილობრივ უპარტიოთა ჩაბმა საბჭოთა მუშაობაში, გლეხთა ფართო მასების დაახლოება და შედუღება ხელისუფლებასთან.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 9 თებერვალი. „პრავდა" წერილში ზემოაღნიშნული სათაურით, ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელ სხდომების შესახებ სწერს შემდეგს:

„ფორმალურათ გაიმარჯვეს მემარჯვენეებმა, მაგრამ მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის მომავლის თვალსაზრისით მათი გამარჯვება გადაჭარბებულად არ უნდა შევაფასოთ. მემარჯვენე ორიენტაცია, რომელსაც სახელი გაუტეხა ისტორიული ამბების მსვლელობამ, თანდათან კარგავს ნიადაგს მუშათა ფართო მასებში. მას უკვე აშკარათ უღალატა ამსტერდამის პროფკავშირების ყველაზე უფრო ძლიერმა რაზმმა—ინგლისის მუშათა მოძრაობამ. და ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მემარჯვენეებმა ვერ გაბედეს ხელები შეებორკათ ინგლისელებისათვის მათ დამოუკიდებელ მუშაობაში, რომლის მიზანია რუსეთ-ინგლისის ერთიანი პროფმოძრაობის შექმნა. ამსტერდამის რეზოლიუცია გვერდს უვლის საკითხს მოქმედების ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ.

მემარჯვენეები—მათ გააფთრებულ ბრძოლაში ინგლისელებისა და პროფინტერნის წინააღმდეგ--ხელმძღვანელობდენ მხოლოდ მჯეცური სიძულვილით კომუნისტების მიმართ, როგორც ეს განაცხადა სხდომების ერთ-ერთმა მონაწილემ.

ინგლისელების ხაზი—მათ ბრძოლაში პროფმოძრაობის მთლიანობისათვის—გამომუშავებული იყო საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის პროცესში; ეს ხაზი განსაზღვრა აგრეთვე საბჭოთა კავშირის მუშათა მოძრაობის ნამდვილი მდგომარეობის და ჩვენი რესპუბლიკების კავშირის მუშების ნამდვილი ინტერესების პატიოსნურმა აღიარებამ.

ბრძოლა თანამედროვე იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუძლებელია იმის გარეშე, თუ კავშირი არ იქნა დამყარებული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან, თუ გაერთიანებული არ იქნა საერთაშორისო პროფმოძრაობა. და ეს მთლიანობა განხორციელებული იქნება, წინააღმდეგ ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის თვალთმაქცურ რეზოლიუციისა".

წერილი ინგლისიდან

ფაშისტები ირაზმებიან ინგლისში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი. 25 იანვარი. მე უკვე ვწერდი ბალდვინის მთავრობის უაღრესათ რეაქციონურ მისწრაფებებზე როგორც საგარეო, აგრეთვე საშინაო პოლიტიკაში. ყოველდღე ჩვენ ვხდებით მოწამე,—იმისი თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ეს მისწრაფებანი.

ამ ჟამათ ყველა პროფკავშირები უკიდურესად არიან შეშფოთებული სამხედრო სამინისტროს იმ განზრახვით, რომ შეადგინონ სპეციალური სათადარიგო ნაწილი არმიისა. ეს განზრახვა მდგომარეობს შემდეგში: რკინის გზებისა და ტრანსპორტის კომპანიების შემწეობით დაარსდენ საგანგებო რაზმები რკინისგზელებისა და ტრანსპორტის მუშებისაგან. ეს რაზმები უნდა წარმოადგენდენ საგანგებო სათადარიგო არმიას. მას ხელმძღვანელობას უნდა უწევდეს კომპანიების მიერ შერჩეული ოფიცერთა შემადგენლობა.

ამ რაზმში ჩაწერილი მუშები ყოველწლიურათ საჩუქრათ მიიღებენ 8—20 გირ. სტერლინგამდე. მათ ექნებათ კიდევ საგანგებო უპირატესობანი და ყოველწლიურად ზედმეტი შეღავათი.

მაკდონალდის მთავრობაში სამხედრო მინისტრათ ნამყოფ სტევენ ვუალკის მიერ ხელმოწერილ ბრძანებაში ჯარებისადმი ნათქვამია, რომ ეს საგანგებო სათადარიგო არმია გამოყენებულ არ იქნება სამოქალაქო ბრძოლაში.

ამ ბრძანების თანახმათ რკინისგზათა კომპანიებმა გამოსცეს მოწოდება თავიანთ მუშებისადმი, რომ ჩაეწერონ ამ არმიაში. მაგრამ იმ ბრძანებებში, რომელნიც გამოცემულია ახალ სამხედრო მინისტრის მიერ, ნათქვამია, რომ საგანგებო სათადარიგო რაზმებში ჩაწერილი ყველა მუშები ჩაითვლებიან რეგულიარულ არმიის მონაწილეთ და ეკისრებათ მის შესაფერი ვალდებულებაც. ამგვარათ ცხადია, სულ ერთიან გაქარწყლდა ის შენიშვნა, რომ ეს ნაწილები გამოყენებულ არ იქნება სამოქალაქო ბრძოლაშიო.

აქედან აშკარა ხდება, რომ უნდათ შეადგინონ ნამდვილი ფაშისტური არმია, რომლის მოვალეობაც იქნება გაფიცვების ჩაშლა.

თუ აქამდის ამის შესახებ კიდევ არსებობდა რაიმე ეჭვი, ეს სულ ერთიან გაჰქრა მას შემდეგ, რაც სამხედრო მინისტრმა პასუხიც არ აღირსა რკინისგზელთა კავშირს, რომელიც მოითხოვდა ამის გარანტიებს

ახლა ვნახოთ როგორ ხდება ამ რაზმელების შეკრება: შესამხედრო სამინისტროს აგენტები კომპანიების უფროს მოხელეებთან ერთად მიდიან სადგურებზე, სადაც სახელდახელოთ თავს იყრიან მუშები და მიმართავენ მათ მხურვალე სიტყვებით.

თუ შეეკითხებით პროფკავშირების ბელადებს სამხედრო სამინისტროს ამგვარ მოქმედების შესახებ, თითქმის ყველა გეტყვით გადაწყვეტით: ეს მოასწავებს ნამდვილათ ნიღაბ-აფარებულ ფაშისტურ დარაზმვას მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ინგლისის კაპიტალისტები ამზადებენ ფართე შეტევას სამუშაო დღის გასადიდებლად და არსებულ ხელფასის შესამცირებლად. სწორედ ამ მოსალოდნელ შეტევისათვის სცდილობს მთავრობა, რომ შეადგინოს ეს საგანგებო არმია.

სამხედრო სამინისტროს ამ განზრახვას სასტიკად წინ აღუდგენ დაინტერესებული ტრედიუნიონები და მუშები. რამდენიმე დღის წინედ ლონდონის ერთ-ერთ სადგურზე ასეთ ამბავს ჰქონდა ადგილი: ერთი აგენტი რკინის გზის კომპანიების აგენტების თანხლებით საღამოს ჟამს შევიდა მუშათა სასადილოში. მას უნდოდა წარმოეთქვა სიტყვა რაზმებში ჩაწერის სასარგებლოდ. მუშები მაშინათვე საშინლად აღშფოთდენ და ხელდახელ გამოაძევეს როგორც აგენტი, ისე მისი თანამხლებელნიც.

ასეთივე სცენებს ბევრგან ჰქონდა ადგილი. ამით ძალიან აღშფოთდა მთელი ბურჟუაზიული პრესა. ის ყოველნაირათ სცდილობს დაამტკიცოს, რომ ამ საგანგებო სათადარიგო არმიის დანიშნულება სრულიადაც არ არის ტრედიუნიონების (პროფკავშირების) წინააღმდეგ ბრძოლა: ეს იმდენათ აშკარაა, რომ თვით მუშათა მთავრობის მინისტრმა მოაწერა ხელი ამ არმიის შედგენის შესახებ გამოცემულ განკარგულებასო.

ბურჟუაზიულ პრესის ცდამ სულ ამაოთ ჩაიარა და მუშათა წინააღმდეგობა კი დღითი დღე უფრო იზრდება. ქ. გრევში გაიმართა 20.000 რკინისგზელთა მიტინგი, სადაც მოითხოვდენ კომპანიების მიერ გამოცემულ განკარგულებათა გაუქმებას და აფრთხილებდენ ყველა რკინისგზელებს, რომ არ ჩაეწერონ ამ სათადარიგო რაზმებში. ზოგიერთმა სექციებმა კიდევაც მოთხოვეს რკინისგზელთა კავშირის აღმასკომს, რომ კომპანიებს თავიანთ განკარგულებათა გაუქმების ვადათ მიეცეთ 48 საათი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ საერთო გაფიცვით.

ასეთივე საწინააღმდეგო მოძრაობა იზრდება ყველა დარგის მუშებში.

ამ ამბებში ყველაზე უცნაურ როლს თამაშობს ნაციონალური კავშირის მდივანი კრამპი, რომელიც არის მარჯვენა ხელი ტომასისა. მართალია სამხედრო სამინისტროს მოქმედებას იგი უცქერის, როგორც მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ზომებს, მაგრამ ის მაინც გადაწყვეტით არ გამოვიდა ამის წინააღმდეგ.

მან მხოლოდ მოსთხოვა სამხედრო მინისტრს ერთგვარი თავდებობა, რომ ეს საგანგებო სათადარიგო არმია გამოყენებულ არ იქნება მუშებსა და კომპანიებ შორის მომხდარ უთანხმოებაში. ის დღესაც ელის ამ თავდებობას, მაგრამ ეღირსება კი როდისმე?

ამასთანავე ყოველივე ამგვარი თავდებობა ეს მხოლოდ თავმოტყუებაა და სხვა არაფერი. აშითი არც ერთი მთავრობა არ ჩასთვლის თავის თავს ხელბშეკრულათ და მით უმეტეს ეხლანდელი მთავრობა არას დროს არ მისცემს იმის პირობას, რომ ამა თუ იმ საბაბით ამ რაზმებს არ გამოიყენებს სამოქალაქო ბრძოლაში. სხვათა შორის არის ოფიციალური განცხადება, რომ ამ სათადარიგო რაზმებს მობილიზაციას უზამენ ყოველთვის, როცა კი გამოცხადებულ იქნება „საგანგებო წესები". „საგანგებო წესები" კი ყოველთვის შეიძლება გამოცხადდეს დაუყოვნებლივ გაფიცვების დროს.

მიუხედავათ ამისა კრამპმა მაინც მიმართა რკინისგზელთა კავშირის ყველა სექციებს: სანამ პასუხს მიიღებდეს სამხედრო სამინისტროდან, უარი სთქვან რაზმებში ჩაწერაზე.

უფრო გადაწყვეტილი წინააღმდეგობით გამოვიდა მემანქანეთა და მექანიკოსთა კავშირის მდივანი—ბრომლეი.

სამხედრო სამინისტროს განზრახვა არ განისაზღვრა მხოლოდ რკინისგზელებზე მოქმედებით. ლონდონის ომნიბუსების კომპანიის შემწეობით იგი სცდილობს რაზმებში ჩასწეროს ოტობუსების დამტარებლებიც. მაგრამ აქაც თავი იჩინა საერთო წინააღმდეგობამ და სრული მარცხით გათავდა ეს განზრახვა.

მაგრამ ამ დამარცხებით მთავრობა სრულიადაც არ ფიქრობს იარაღის დაყრას.

ოფიციალურ ფაშისტურ არმიის დაარსების ცდასთან ერთად მთავრობას [illegible] სხვა განზრახვებიც აქვს, რას [illegible] შემდეგ წერილში გაგაცნობთ

ძ. [illegible]

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა დელეგაცია ამერიკაში

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. ამ დღეებში ნიუ-იორკში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სამთო-მადნო და ლითონის მრეწველობის წარმომადგენლების დელეგაცია, რომელიც გაეცნობა მრეწველობის ამ დარგების მუშაობის ამერიკულ მეთოდებს.

დელეგაციაში შედიან: სმოლნიკოვი და დროჟილოვი—ურალის პლატინის სამმართველოდან, კუზმინი და სტრებნინი—ლენინგრადის მანქანების საალმშენებლო ტრესტიდან, და აგრეთვე ს. მ. უ. ს. წარმომადგენელი (გვარი დამახინჯებულია).

დელეგაცია ამერიკაში დარჩება 3 თვე.

ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომში

საფრანგეთ-გერმანიის ბლოკის შესახებ

ამსტერდამი. 9 თებერვალი. შესდგა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სესიის უკანასკნელი სხდომა. სხდომამ განიხილა საფრანგეთის და გერმანიის მრეწველებს შორის ამ ჟამად არსებული მოლაპარაკების და იმ პოზიციის საკითხი, რომელიც უნდა დაიკავონ ამ მოლაპარაკების გამო პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა. კამათში აღნიშნეს, რომ **პროფკავშირებს არ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ბლოკის შექმნას და ამიტომ ყოველგვარი ბრძოლა მის წინააღმდეგ უნაყოფოა.** კამათის შემდეგ არჩეულ იქნა სამი წევრისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ამბების შემდეგ განვითარებას და მოხსენება გაუკეთოს ინტერნაციონალს.

ხაფანგი

ამსტერდამი. 9 თებერვალი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეზოლიუცია, მიღებული ინგლისის დელეგაციის გუშინდელ სხდომაზე, არის შედეგი იმ ერთსულოვანი დადგენილებისა, რომელიც გამოიტანა ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ.

სტენგისის რეზოლიუციის შესახებ ინგლისის დელეგაციის უმრავლესობა აღნიშნავს, რომ **ის მიზნად ისახავს ხელის შეშლას ინგლის—რუსეთის მთლიანობის კომიტეტის შექმნისათვის;** მემარჯვენეებმა გადასწყვიტეს შეეტანათ რეზოლიუციაში მუხლი კონფერენციის შესახებ იმ იმედით, რომ საბჭოთა პროფკავშირები არ მიიღებენ წინადადებას, ან ინგლისის პროფკავშირები თავს შეიკავებენ ინგლის—რუსეთის კომიტეტის განხორციელებისაგან

ფრანგ „სოციალისტების" კონგრესი

ბურჟუაზიის მაჩანჩალები

პარიზი. 9 თებერვალი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესი შეუდგა კონგრესის დღის წესრიგის ცენტრალური საკითხის გადაწყვეტას: განაგრძოს თუ არა სოციალისტურმა პარტიამ მხარის დაჭერა ერრიოს მთავრობისათვის.

ორატორების უმრავლესობა მოითხოვდა მხარის დაჭერას მთავრობისათვის. სოციალისტების ბელადი პარლამენტში—ბლიუმი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც მოითხოვდა, რომ ყრილობამ მოიწონოს საპარლამენტო ფრაქციის მოღვაწეობა. ბლიუმმა იმედი გამოსთქვა, რომ მოახლოვდა დრო, როდესაც სოციალიზმი დაუპირდაპირდება ყველა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, მაგრამ ხაზი გაუსვა იმას, რომ საჭირო არ არის ამბების დაჩქარება მთავრობასთან თანამშრომლობაზე ნაადრევათ უარის თქმით.

სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი პოლ ფორი მოითხოვდა ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც პარტიის სიძლიერის დემონსტრაცია იქნება.

სამარცხვინო კომედია

პარიზი. 9 თებერვალი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესაც კი სოციალისტური პარტიის კონგრესს აფასებს, როგორც კომედიას წინასწარ გადაწყვეტილი დასასრულით: რეზოლიუცია მთავრობისათვის მხარის დაჭერის შესახებ მიღებული იქნება უმრავლესობის მიერ. პრესა ხაზს უსვამს იმას, რომ **მუშები თანდათან შორდებიან სოციალისტურ პარტიას, რომელიც უმთავრესათ შედგება რადიკალების ბანაკიდან გადასულ პირებისაგან.**

კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" აღნიშნავს პეპუტატ სიზერის ცინიზმს; სიზერმა სოციალისტური პარტიის ყოველდღიური ორგანოს გამოცემის **საკითხის განხილვის დროს წინადადება შეიტანა, რომ სათანადო ფონდების მიღებისათვის მიმართონ ერრიოს მთავრობას.**

კომუნისტების დევნა კოლონიებში

პარიზი. 9 იანვარი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე" ხაზს უსვამს მემარცხენე ბლოკის რეაქციონურ პოლიტიკას ტუნისში, სადაც კომუნისტებს აპატიმრებენ და ჩხრეკენ.

„ბურჟუაზიული პრესა სტყუის—სწერს გაზეთი—როდესაც აცხადებს იმის შესახებ, თითქოს, მთავრობამ ტუნისში აღმოაჩინა კომუნისტური შეთქმულება. კომუნისტური პარტია და შრომის უნიტარული კონფედერაცია პროტესტს აცხადებენ აქტიური მუშების დაპატიმრების წინააღმდეგ,—იმ მუშების, რომელთა ერთადერთი ბოროტმოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ასრულებდენ პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელების მოვალეობას იმ მიზნით, რომ დაეცვათ მუშების ჩვეულებრივი ეკონომიური მოთხოვნილებები".

იაპონიასთან შეთანხმების შემდეგ

ზეიმი იაპონიაში

კრება ტოკიოში

ტოკიო, 9 თებერვალი. შესდგა საზეიმო კრება საბჭოთა კავშირის და იაპონიის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო. **კრებას დაესწრეს იაპონიის და კორეის მუშათა და სტუდენტთა ორგანიზაციების, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებათა წარმომადგენლები, რიცხვით 500 კაცამდე.** ორატორების მთელმა რიგმა აღნიშნა, რომ **იაპონიის მშრომელი მასები აღტაცებული არიან მუშათა და გლეხთა მთავრობის ცნობით და რომ ჭეშმარიტი მეგობრობა იაპონიასა და რუსეთს შორის განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იაპონიაში გაიმარჯვებს პროლეტარიატის დიქტატურა.**

ქალთა განმათავისუფლებელი ლიგის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის და იაპონიის შეთანხმება საშუალებას აძლევს იაპონელ ქალებს ჰპოვონ თავიანთი უღლისგან განთავისუფლების გზა, რუსეთის ქალების მაგალითის მიხედვით.

კრებაზე ისმოდა განუწყვეტლივი ტაშისცემა საბჭოთა მთავრობის საპატივცემლოდ. მუშები მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს. კრებამ დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ჩიჩერინს და კარახანს.

მზადება პროვინციაში.

ტოკიო. 9 თებ. კობეში და იოსაკაში ქალაქის ხელისუფლება და საქმიანი წრეები ამზადებენ დიდ ზეიმს ხელშეკრულების რატიფიკაციის მომენტისათვის.

მექრთამე სოციალისტები

ინტერნაციონალის მდივანიც ასეთი უნდა.

პარიზი. 9 თებერვალი. ბელგიელმა სოციალისტმა კამილ გიუისმანსმა—ბელგიის პალატის დეპუტატმა და მეორე ინტერნაციონალის ყოფილმა მდივანმა, აღიარა, რომ სწორედ მან გაუკეთა რეკომენდაცია ბარმატს გერმანიის პრეზიდენტის ებერტის წინაშე და სთხოვა გერმანიის პრეზიდენტს მისი საშუალებით გადმოეცა სოციალ-დემოკრატიის შეხედულებები საზაო ხელშეკრულების შესახებ.

გამოძიება ბარმატის საქმის გამო.

ბერლინი. 8 თებერვალი. ბარმატის საქმის საგამომძიებლო კომისიის სხდომების გამო „ბერლინერ ბერზენ ცეიტუნგი" დაწვრილებით აღწერს მოსყიდვათა სისტემას, რომელსაც ბარმატი ხშირად მიმართავდა. **განსაკუთრებით მძიმეა ბრალდება, რომელსაც უყენებენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერებთან ერთად რეიხსტაგის ცენტრის დეპუტატს ლანგეს და გერმანიის ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილ მინისტრს—გეფლეს.**

დეპუტატი სოციალ-დემოკრატები გეილმანი და შეიდემანი ზაფხულობით მოგზაურობდენ ბარმატის ხარჯზე.

ქრთამების უდიდესი ნაწილი ხვდებათ გეილმანს, შეიდემანს, ბაუერს, ვისელს და ველსს.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა

გერმანიის რეიხსკანცლერის ლიუტერის განცხადება

ბერლინი, 9 თებერვალი. კელნში გამგზავრების წინ ლიუტერი ესაუბრა როსტას კორესპონდენტს. საუბრის წინ ის შეეხო გერმანიის საგარეო პოლიტიკის 3 მთავარ საკითხს: კელნის ზონის ევაკუაციას, საგარანტიო ხელშეკრულებას და გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

ლიუტერმა განაცხადა, რომ გერმანიის პოლიტიკა მიმართული იქნება იქითკენ, რათა გამოყენებული იქნას ყოველგვარი საშუალებანი დაპყრობილ ოლქების ევაკუაციის განსახორციელებლათ რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში, რაც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულებით. შემდეგ ლიუტერმა განაცხადა, რომ საჭიროა წინააღმდეგობა გაეწიოს იმას, რათა რეინის ოლქი გადაიქცეს საგარეო პოლიტიკურ კომბინაციების ობიექტად და მსხვერპლად შეეწიროს გერმანიასა და მოკავშირეთა შორის არსებულ უთანხმოებას.

შეეხო რა უშიშროების გარანტიის საკითხს, ლიუტერმა აღნიშნა, რომ გერმანიის მთავრობა პრინციპიალურად თანახმაა, რათა უშიშროების საკითხი გადაიჭრას „შეერთებული მოლაპარაკების" გზით. გერმანიის მთავრობისათვის პირველყოვლისა მნიშვნელოვანია მიიღოს პასუხი იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს გერმანიის მთავრობის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევა განიარაღების მხრივ, ამასთანავე ყოველთვის როდესაც დამტკიცებული იქნება, რომ გერმანიამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი, მიღებული იქნება სათანადო ზომები ამ ნაკლთა გამოსასწორებლად.

საბჭოთა კავშირის და გერმანიის ეკონომიური მოლაპარაკების საკითხის შესახებ ლიუტერმა განაცხადა, რომ ეკონომიურმა მოლაპარაკებამ, რომელიც სწარმოებდა მოსკოვში, ნაყოფიერად გადასჭრა კონფერენციის წინაშე დასმული ამოცანა; სახელდობრ, ამ კონფერენციაზე ყოველმხრივ თვალსაჩინო გახდა ორივე მხარის სურვილები და მისწრაფებები. დასასრულ ლიუტერმა იმედი გამოსთქვა, რომ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება.

პანების სამეფოში

უკრაინელ აჯანყებულთა პროცესი

ვარშავა. 9 თებერვალი. როვნოში დამთავრდა 14 უკრაინელ აჯანყებულის პროცესი. ისინი გადაცემული იყვნენ სამხედრო-საველე სასამართლოში. ხელისუფლება ცდილობდა გაესამართლებია ისინი როგორც ჩვეულებრივი ბანდიტები, მაგრამ დამცველთა აქტიური წინააღმდეგობის შემწეობით, ეს ცდა უნაყოფოდ დარჩა. საქმე გადაეცა ჩვეულებრივ სასამართლოს.

დამშეულთა მიტინგი.

ვარშავა. 9 თებერვალი. უკანასკნელ დღეებში ლოდზში შესდგა დამშეულ უმუშევართა მიტინგების მთელი რიგი. მიტინგებს ირეკებოდენ პოლიციელები. უმუშევართა რიცხვი ლოდზის რაიონში აღწევს 40,000 კაცამდე. მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

პროვოკაციული პროცესი

ვარშავა, 9 თებერვალი. დამთავრდა ეგრეთ წოდებული ტერორისტული ორგანიზაციის პროცესი. **მასლინსკის, როტტერის და კრესინსკის** მიუსაჯეს 15 წლის საკატორღო მუშაობა. მსჯავრდადებულები გაძლიერებული მცველებით გადაგზავნეს ციხეში. მცველთა რაზმს მეთაურობდა პროვოკატორი ცებანოვსკი—პროცესის ინიციატორი.

განაპირა ოლქებში.

ვარშავა. 8 თებერვალი. გაზეთ „რეჩ პოსპოლიტას" ცნობით, განაპირა კუთხეებში მდგომარეობა თანდათან რთულდება, განსაკუთრებით **ვილნოს რაიონში.** ქალაქ კოვნოდან იუწყებიან, **რომ ამ რაიონში შესდგა მეანბოხეთა რაზმი.** ნოვოგრუდის რაიონში განახლდა ცეცხლის გაჩენა მემამულეების მამულებში.

გაბერილი უფლებები.

ვარშავა. 8 თებერვალი. პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რატაისკიმ დაუგზავნა ვოევოდებს და გუბერნატორებს ცირკულიარული განკარგულება, **რომელიც კრძალავს ყოველგვარ მიტინგებს და კრებებს აღმოსავლეთის საზღვრებზე.** ცირკულიარი იძლევა განმარტებას, რომ მიტინგები შეუძლიათ მოაწყონ დეპუტატებმა და სენატორებმა მხოლოდ ხელისუფლების ნებართვით.

ეს უკანასკნელი პირობა სავსებით აუქმებს დეპუტატების უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით.

ტერორი სამხრეთ-სლავიაში

„თავისუფალი" საარჩევნო კამპანიის დროს.

ვენა, 8 თებ. სამხრეთ-სლავიაში გაჩაღებულია საარჩევნო ბრძოლა. ბევრ ადგილას, განსაკუთრებით დალმაციასა და ხორვატიაში მოსალოდნელია დიდი შეტაკებანი. ოპოზიციონურ გაზეთების სიტყვით, მთავრობამ მოახდინა განკარგულება, რათა არჩევნების დღეს ხორვატიაში შეწყვეტილი იქნას სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირი. გაცემულია აგრეთვე ბრძანება, რათა რადიჩის მომხრეები არ იქნან დაშვებულნი საარჩევნო ყუთებთან.

ვრანგელის მიმდევართა ცენტრალურმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოწოდება რუსეთის ლტოლვილთა მიმართ ხმა მისცენ უკიდურეს რეაქციონურ პრიბიჩევიჩის პარტიას, რომელიც იბრძვის „სლოვიანების ინტერესების" დასაცავად.

მუშურ-გლეხური ბლოკის ლოზუნგები.

რესპუბლიკანურ მუშურ-გლეხურმა ბლოკმა გამოაქვეყნა შემდეგი ლოზუნგები: **„ძირს აბსოლიუტიზმი, მილიტარიზმი და ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა! ძირს რეაქცია ბალკანეთზე და იმპერიალისტური საზავო ხელშეკრულებანი! გაუმარჯოს სამხრეთ-სლავიის ხალხთა დამოუკიდებლობას! ძირს კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ! გაუმარჯოს სრულ ამნისტიას, გაფიცვების და კრებების თავისუფლებას! ძირს კაპიტალისტები და მემამულეები! გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, ბრძოლას უმუშევრობასთან, მიწების განაწილებას გლეხთა შორის ერთვნების მიუხედავად, და ომამდე არსებულ ხელფასს!"**

რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ბლოკის სიაში შეტანილია ზაგრებსკი, სამთომადნო მუშა დოროშევიჩი, რომელსაც მისჯილი აქვს 20 წლის ციხე გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის.

თანამედროვე საფრანგეთი

ამხ. ტარატუტას მოხსენება

მოსკოვი, თებერ. 7 თებერვალს საქმიან კლუბში საგარეო ვაჭრობის ბანკის თავმჯდომარემ ამხ. ტარატუტამ გააკეთა მოხსენება საფრანგეთში მოგზაურობის შესახებ. ტარატუტამ დაახასიათა თანამედროვე საფრანგეთი.

მუშა ძალის მწვავე ნაკლულოვანება, რაც შედეგად მოჰყვა იმპერიალისტურ ომს აიძულებს საფრანგეთს გადავიდეს შრომის მექანიზაციაზე და სტანდარტიზაციაზე. საფრანგეთი გულმოდგინეთ სწავლობს უცხოეთის ტეხნიკას და ითვისებს უცხოეთის კულტურას, რისთვისაც იქმნებიან განსაკუთრებული ლაბარატორიები. სხვა ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი საფრანგეთში ძალიან გაიზარდა.

შემჩნეულია სოფლიდან ქალაქში გლეხთა დიდი მოძრაობა, რაც გამოწვეულია ნაწილობრივ მრეწველობის ზრდით და სამრეწველო მუშების საჭიროებით, საფრანგეთის გლეხობა რევოლიუციონერდება.

„კომუნიზმის საფრთხე", რომელიც ხელოვნურად შექმნეს ზოგიერთმა მემარჯვენე წრეებმა, სწრაფად გაიფანტა. უაზრო შიშის ადგილი დაიჭირა საფრანგეთის სამრეწველო წრეების საქმიანმა განწყობილებამ. საფრანგეთი, რომლის მრეწველობაც ძალიან გაიზარდა, იხრჩობა ბაზრების უქონლობით. საფრანგეთი ეკონომიურად თითქოს დაქვეითებულია ინგლისის და გერმანიის მიერ. ამ გარემოებამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის გარშემო შექმნა უდიდესი თანაგრძნობის ატმოსფერა.

შემდეგ ტარატუტა აშუქებს საკითხს საბჭოთა კავშირის მიმართ და საფრანგეთის მთავრობის პრეტენზიების და ჩვენი კონტრპრეტენზიების შესახებ. საფრანგეთშიო—აღნიშნავს ის—დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს მოლაპარაკებას ვალების შესახებ. ამასთანავე ყველანი იმ აზრს იზიარებენ, რომ ზედმეტია ლაპარაკი ვალების დაჩქარებით გადახდის შესახებ. საფრანგეთის მცხოვრებთა სხვა და სხვა წრეებში აღნიშნავენ, რომ სწორედ ისევე, როგორც საფრანგეთს განზრახული აქვს აუნაზღაურ ს ამერიკას ფინანსიური ვალდებულებანი 50 წლის განმავლობაში, სწორედ ისევე საბჭოთა კავშირს შეუძლია გადაუხადოს საფრანგეთს ვალები ამავე ვადის განმავლობაში.

საფრანგეთის საქმიანი წრეები ფიქრობენ, რომ ვალების საკითხის მოწესრიგება ასე ჩქარა არ შეიძლება და რომ საბჭოთა კავშირის დაახლოვება საფრანგეთთან შესაძლებელია ორივე მხარესათვის ხელსაყრელ ხელშეკრულების საფუძველზე.

მოუსავლიანობა და ბრძოლა მის შედეგების წინააღმდეგ

ამხ. სვიდერსკის მოხსენება

მოსკოვი. 10 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომაზე საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ სვიდერსკიმ გააკეთა მოხსენება რიკოვის კომისიის სახელით მოუსავლიანობის და მის შედეგებთან ბრძოლის შესახებ.

მოუსავლიანობის რაიონი 1924 წელს ვრცელდება 6 მილიონ დესეტინაზე 7 მილიონი მცხოვრებით. შემოდგომის თესვის კამპანია წარმატებით ჩატარდა და ზერელე გამოანგარიშებით დათესილი არე სხვადასხვა რაიონებში გაიზარდა დაახლოვებით 18 პროც. შარშანდელთან შედარებით. შემოდგომის ნათესის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის: არის ნიშნები იმისა, რომ ნათესები ყველგან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ არის. შესაძლებელია, რომ საჭირო იქნება გაზაფხულზე ზოგიერთი ნაწილის ხელახალი დათესვა. ამ შემთხვევაში საჭიროა დახმარება სახელმწიფოს მხრივ.

ამჟამად ტარდება გაზაფხულის თესვის კამპანია. საგაზაფხულო სათესლე სესხის რაოდენობა განსაზღვრულია 22 მილ. ფუთით. სწარმოებს თესლის დამზადება და მისი ადგილზე მოტანა. დამზადებულია უკვე 97 პროც., გადატვირთულია 77 პროც. ბევრ ადგილას სათესლე მასალა მიღებულია და ურიგდება გლეხობას.

სამუშაო საქონლის დასაცავ ღონისძიებებისათვის მთავრობამ გაღასდო 11 მილ. მან. ჰეტი. სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით ადგილებზე გადაგზავნილი იყო დაახლოვებით 10 მილიონი მანეთი. დაბალ-საფეხურის აპარატმა მისცა გლეხთა მეურნეობებს 7 მილიონ მანეთის სესხი.

საზოგადოებრივ-სამელიორაციო სამუშაოებისათვის მთავრობამ გაღასდო 14 მილიონი მანეთი. საერთოთ ამ ღონისძიებებს მოჰყვება მნიშვნელოვანი საწარმოვო შედეგები. მორწყულია 5.000 დესეტინა. წყალსადენიარხები მოწესრიგებულია 5.000 დესეტინის მანძილზე; ტყეების გაშენება—25.000 დესეტინის მანძილზე და სხვა.

უკანასკნელი ცნობები

ესტონეთის მინისტრი ვარშავაში

ვარშავა. 9 თებ. ჩამოვიდა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პუსტა. პუსტას ჩამოსვლა დაკავშირებულია ჰელსინგფორსის კონფერენციასთან და დემონსტრატიულ ანტისაბჭოთა ხასიათს ატარებს.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები დანციგში

ვარშავა. 9 თებ. დანციგში ჩასულ ჩვენი ვარშავის წარმომადგენლობის მრჩეველს ბესედოვსკის და სავაჭრო წარმომადგენელს მიასკოვს მეგობრულად შეხვდენ. ისინი დაუყოვნებლივ მიღებულ იქნენ დანციგის სენატის პრეზიდენტის მიერ. საღამოს გაიმართა მათი საპატივცემლო საზეიმო ბანკეტი. პრესა დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების ჩასვლას დანციგში იმ დროს, როდესაც დანციგს პოლონეთის მიერ პოლიტიკური ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. პრესის აზრით საბჭოთა კავშირის გავლენა დანციგში ძლიერდება.

ლონდონის პრესა ამსტერდამის ინტერნაციონალის დადგენილების შესახებ.

ლონდონი. 9 თებერვალი. ლონდონის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროს სესიის დადგენილებებს. „ტაიმს“ მოსწონს ამსტერდამის სიფრთხილე. „დეილი-გერალდი“ მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ბრიტანეთის დელეგაციის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა, მაგრამ იმავე დროს აღნიშნავს, რომ სტენგისის რეზოლიუციის მიღება წინსვლის რეალურ ნაბიჯს წარმოადგენს.

გეილმანის ჩვენება ბარმატის საქმის შესახებ.

ბერლინი. 9 თებერვალი. პრუსიის ლანდტაგის საგამომძიებლო კომისიის სხდომაზე 8 თებერვალს ჩვენებას იძლეოდა დეპუტატი სოციალ-დემოკრატი გეილმანი, რომელიც სცდილობდა ბარმატის დაცვას. გეილმანს 1919 წ., როდესაც ის კორესპონდენციებს აგზავნიდა ჰოლანდიურ სოციალისტურ გაზეთ „ფორვერტსში“, მიუღია ბარმატისაგან 350.000 გულდენი. გეილმანის განცხადებით მეორე ინტერნაციონალის ბიურო მოთავსებული იყო ბარმატის სახლში.

ბარმატი ორჯერ იყო მიწვეული ებერტთან, მაგრამ უკანასკნელი შეხვედრის წინ ებერტმა მიიღო სახელის გამტეხი ცნობები ბარმატის შესახებ და ლაპარაკისდროს წამოსცდა სიტყვა „ებრაელი“ (ჟიდ), რის შემდეგაც ისინი გაურბოდენ ერთმანეთის შეხვედრას. ებერტის შვილი კი ბარმატის მუდმივი მრჩეველი იყო.

როდესაც მოხდა როტერდამის ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა ბარმატმა ფრანც კრიუგერთან და ტრანსპორტის მუშათა კავშირის თავმჯდომარესთან ერთად მოახერხა ჰოლანდიიდან გერმანიის მიერ შესყიდული საქონლის შემოზიდვა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე გეილმანი აღიარებს, რომ ის არა ერთხელ გამოსულა ბარმატის რწმუნებულად. კომუნისტ შტოლცის შეკითხვაზე გეილმანი აცხადებს, რომ ერთერთ გაზეთს ბარმატმა მისცა 15.000 მარკა. გეილმანის რჩევით ბარმატმა აგრეთვე მისცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას 1924 წ. დეკემბერში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად 20.000 მარკა. ველსმა გაგზავნა ბარმატი 1924 წ. საიდუმლო ბარათით მაკდონალდთან.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ბერლინი. 9 თებერვალი. ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის, რომელსაც აწარმოებენ გერმანელი კომუნისტები, წარმატებით მიმდინარეობს. ხის დამმუშავებელთან საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ და დაავალა პრეზიდიუმს მიიღოს ზომები საბჭოთა კავშირში ინგლისის დელეგაციის ერთერთი წევრის მოხსენების გასამართავად. რკინისმზელთა კრებამ მიიღო ასეთივე რეზოლიუცია. კომუნალურ და სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირიც მოითხოვს პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენას.

გლეხობის მიმართ ადმინისტრატიული ზომების შესახებ

მოსკოვი. 10 თებ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი საგუბერნიო აღმასკომების ადმინისტრატიულ განყოფილებათა მიმართ დაგზავნილ ცირკულიარში სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის და მათ დარღვევისათვის დასჯის შესახებ, აღნიშნავს, რომ სათემო აღმასკომები არა მარტო ეხებიან საზოგადოებრივ-უფლებრივ ურთიერთობას, არამედ იჭრებიან გლეხთა ოჯახების შინაურ ცხოვრებაში და ერევიან გლეხის შინაურ მეურნეობების საქმეში. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმები ძალიან დიდია და ზოგჯერ აღწევენ უმაღლეს განაკვეთს—300 მანეთს, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში მერყეობს 25 და 100 მანეთს შორის.

სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შედიან წინასწარ ვადის განუსაზღვრელად; მცხოვრებლებს წინასწარ არ აცნობებენ დადგენილებათა ძალაში შესვლის ვადებს, და გლეხები ისჯებიან სრულიად მოულოდნელად, რაც იწვევს უდიდეს და სრულიად სამართლიან უკმაყოფილებას.

სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაწესებულ ჯარიმებს ეძლევათ დამატებით გადასახადის ხასიათი, რომლის დანიშნულებას შეადგენს შეავსოს ადგილობრივი ბიუჯეტი.

საქმის ასეთი მდგომარეობა სრულიად დაუშვებელია და სავსებით ეწინააღმდეგება პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ადმინისტრატიულ რეპრესიების შემცირებისაკენ, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება გლეხობის ფართო ფენების ინტერესებს.

ზემოაღნიშნულ ნაკლულევანებათა თავიდან ასაცილებლად ყველა ადმინისტრატიულ განყოფილებათა უფროსებს წინადადება ეძლევათ სასწრაფოთ შეკრიბონ ცნობები იმ ადმინისტრატიულ რეპრესიათა რაოდენობის შესახებ, რომელსაც სათემო აღმასკომები აწესებენ და საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმში შეიტანონ წინადადება ამ საკითხის მოწესრიგების შესახებ.

შემდეგ ცირკულიარში აღნიშნულია, რომ სათემო აღმასკომის მიერ დაწესებული ჯარიმა 3 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო იძულებით მუშაობის ვადა—5 დღეს.

სათემო აღმასკომების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა უნდა შემოიფარგლოს განსაზღვრული საკითხებით, რომელიც ჩამოთვლილია ცირკულიარში.

„რუსეთის დედოფალი“ საგასტროლოდ ამერიკაში

(ამერიკიდან ჩამოსული ამხანაგის ნაამბობი)

უცხოეთში ჯერ კიდევ იმდენად არ ყოფილა გაცვეთილი რუსეთის მეფის და დედოფლის ტიტული, რომ შესაძლებელი ხდება თურმე მასზე სპეკულიაცია გასწიო და ფული მოიგო.

ეს არ არის ანეკდოტი, ნამდვილი ამბავია.

ერთს ამერიკელ ანტრეპენიორს აზრად მოსვლია ამერიკაში მიეპატიჟა რუსეთის „არყოფილი თვითმპყრობელი“ კირილე ვლადიმერისძის მეუღლე—„მირონცხებული დედოფალი“ ვიქტორია.

ამ მიზნით იგი მოლაპარაკებია ნიუ-იორკის ერთ ცნობილ კლუბს და დაუთანხმებია იგი, რომ იქ გამართულიყო ამ „იშვიათი“ სტუმრის გასტროლები.

ამავე დროს ამ მოხერხებულ კაცს გაუვრცელებელია ხმა, რომ „დედოფალი“ მოსალაპარიკებლად მიიღებს წარჩინებულ და რჩეულ გვარიშვილებს, მაგრამ რადგან ამერიკაში ასეთები იშვიათად მოიპოვებიან, ანტრეპენიორს დაუგზავნია ფარული წერილები, სადაც იგი აცნობებდა დაინტერესებულთ, რომ დედოფლის ნახვა შეუძლიათ იმ პირებსაც, ვინც თავის შეძლებით და მდგომარეობით უახლოვდებიან წარჩინებულ გვარეულობას, თუ ისინი „აუდიენციისათვის“ გადაიხდიან 500 დოლარს.

ამ ფარულ წერილში იგი ატყობინებდა წერილის მიმღებს.

„დედოფალი“ 500 მეტს მნახველს ვერ მიიღებს, ხოლო სიის შევსებას ხმიღა აკლიაო. ნამდვილად კი მაყურებელთა სიაში ერთიც კი არ ყოფილა ჩაწერილი. ამნაირად ანტრეპენიორს მოუხერხებია ასეული „გაზნაურებული“ მდიდარი ამერიკელ გაბრიყვება.

ერთს მშვენიერს დღეს ჩასულა „დედოფალი“ ნიუ-იორკში და დიდის ცერემონიით მიუღია ამერიკის პატივცემული მოქალაქენი.

მოუხსენებია მათთვის „მრავალტანჯულ“ მეფის გვარეულობის ამბავი და უთხ[illegible] შველა და დახმარება. „დედოფალს“ არ დავიწყნია აგრეთვე რუსეთის ხალხიც. საერთოდ კი „დედოფალს“ მოუხდენია ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამერიკელი ქველმოქმედნი დაბრუნებულან მწარედ იმედგაცრუებულნი. მეორე დღეს გაზეთებს აუტეხიათ ერთი ამბავი.

შეუტანიათ პარლამენტში შეკითხვა, თუ რა უფლების ძალით მიეცა „დედოფალს“ ამერიკაში შესვლის ნება, რად ატარებს იგი დედოფლის ტიტულს ამერიკაში, სადაც არ არსებობს არავითარი სხვა წოდება, გარდა მოქალაქისა, ან რათ არ არის [illegible] მეფის ტიტულით სპეკულიაცია ბირჟაში, როცა კანონით აღრიცხული უნდა იყოს ვაჭრობის ყოველა დარგი, ან რატომ არ გადახდა დედოფლის გასტროლის მომწყობს ანტრეპენიორს გადასახადი, როცა მხეცების დამტარებელნიც იხდიან გადასახადს. სახელმწიფოს სასარგებლოდ, ასეთი შეკითხვების შემდეგ, მეტად შეურაცხყოფილი „დედოფალი“ იძულებული გახდა გაპარულიყო ნიუ-იორკიდან და სხვაგან ეძებნა თავშესაფარი.

დედოფალს „გასტროლ“-ში მიუღია ჯილდოთ შემოსავლის 20 პროცენტი.

ჩვენი მორიგი ამოცანები ნავთის მრეწველობაში

(საუბარი ამხ. სერებროვსკისთან)

მე ჩამოვედი თბილისში რამოდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამოსარკვევად,—განაცხადა ამხ. სერებროვსკიმ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს.

ნავთის გადაზიდვისათვის

ჩვენ გვაქვს დადებული ხელშეკრულება რამდენიმე სახელმწიფოსთან მათთვის ბათომის ნავთსადგურის საშუალებით ნავთის მიწოდების შესახებ.

მთელი წლის განმავლობაში საჭირო ხდება დაახლოებით 80 მილიონ ფუთამდე ნავთის გადატვირთვა, ხოლო ჩვენს რკინისგზას არა აქვს იმდენი საზიდი ვაგონები, რომ შევსძლოთ დასახული ამოცანის შესრულება. აუცილებელია ჩვენთვის საჭირო ვაგონების რაოდენობის გამორკვევა, რომლის შესახებ ჩვენ უნდა მოველაპარაკოთ ა|კ. რკინისგზათა სამმართველოს და სხვა ორგანოებს. ჩვენი დასკვნები შევატყობინოთ ცენტრს.

ბენზინის ქარხანა ბათომში.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი შეეხება ბათომში ბენზინის და ნავთის სხვა პროდუქტების დასამზადებელი ქარხნების მოწყობას.

ჩვენ უკვე შეუკვეთეთ ამერიკაში ამ ქარხნის ყოველგვარი მოწყობილობა და იარაღები გაუმჯობესებული ხარისხისა. ნავთის ბენზინად გადამუშავება ამ იარაღების საშუალებით იწარმოებს გროსის წესით. ახლა ჩემი მიზანია,—ქარხნის აგების პირობების გამორკვევა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. **ქარხნის მოწყობილობა ამერიკიდან მიღებულ იქნება გაზაფხულის დამლევს ან ზაფხულის დასაწყისში.**

ყოველდღიურად ქარხანა დაამზადებს 400 ათას ფუთ ბენზინს. ეს ქარხანა ერთი-ორად გააცხოველებს ჩვენს მრეწველობას და ასწევს ა|კავკასიის რესპუბლიკების მეურნეობას.

ბიდონის ქარხნის მოწყობა

გარდა ამისა აჭარისტანის სახელმწიფო მრეწველობა-ვაჭრობის სამმართველო **აპირებს მოაწყოს ბათომში ნავთის ბიდონის ქარხანა,** რომელიც უნდა შეუფარდდეს ბაქოს ნავთის მრეწველობის საჭიროებას.

ამ საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად ჩემთან ერთად თბილისში ჩამოსულია „ნევთსინდიკატის“ წარმომადგენელი ამხ. მელიქოვი.

ბაქო-ბათომის ნავთ[illegible] გაყვანისათვის

ჩემი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე მოველაპარაკო საქართველოს მთავრობას ახალი ნავთსადენის გაყვანის შესახებ. **ეს საკითხი საბჭოთა კავშირის საგეგმო ორგანოებისაგან პრინციპიალურად უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი.** ეხლა გამოსარკვევია, თუ რომელ ვარიანტს მიეცეს უპირატესობა ბაქო-ფოთის ნავსადენს, თუ ბაქო-ბათომისას. პროფესორების და მეცნიერების კვლევაძიების დასკვნის თანახმად **საქართველოს მთავრობამ არჩია ვარიანტი ბაქო-ბათომი,** რადგან ბათომის ნავთსადგური უფრო მოსახერხებელი ადგილია უზარმაზარ დიდფსკერიან სანავთო გემების შესაჩერებლად.

საკითხის საბოლოო გამორკვევის შემდეგ, იგი დასამტკიცებლად გაიგზავნება საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიაში, **ხოლო მომავალი წლიდან შევუდგებით ამ ნავთსადენის გასაყვანი გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას.**

შრომის გმირთა დაჯილდოვება.

ამხ. სერებროვსკიმ ჩვენ თანამშრომელს გაუზიარა აგრეთვე თავისი შთაბეჭდილება უკანასკნელად ბაქოს სარეწაოებში გაჩენილ ხანძრის შესახებ.

ცეცხლი გაჩნდა მოულოდნელად ნავთის შადრევანის ამოხეთქის დროს.

ბაქოს ხანძარი—სტიქიის დაუნდობელი შემოტევა იყო. მისი დაცხრომა შეეძლო მხოლოდ შეუპოვარს ბრძოლას და თავგანწირვას.

ამერიკაში არც ერთი მუშა, რაც უნდა დიდი ჯილდო არ მისცენ მას, არ დათანხმდება, რომ შეებრძოლოს ასეთ ჯოჯოხეთურ საშინელებას.

ჩვენთვის კი საკმაო იყო ერთი მოწოდება, რომ მთელი ბაქოს მუშები, როგორც ერთი კაცი ფეხზე დამდგარიყვნენ. განსაცვიფრებელი იყო მათი გმირობა და შეუპოვრობა ცეცხლთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიულ ამხანაგ მუშების თავგანწირული მუშაობა ცეცხლის ჩასაქრობად.

მძიმედ დაშავდა 16 მუშა, (მათ შორის 12—14 პარტიული).

ერთი მათგანი დაშავებულია სასიკვდილოდ.

მთამადნის მუშაკთა კავშირს მინდობილი აქვს შეადგინოს სია იმ გმირ მუშების, რომელთაც წითელი დროშის ორდენის ღირსნი არიან. ამ სიას დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის ცენტ. აღმასკომის სესია, რომელიც მარტში შეიკრიბება თბილისში.

გზატკეცილების მუშაკთა ყრილობა

მეოთხე დღე

გრძელდება საგზატკეცილო უბნების უფროსთა მოხსენებანი.

საქართველოს სამხედრო გზის პირველი უბნის უფროსი ინჟ. შვარცელი მიმოხილვას უკეთებს მის უწყებაში მყოფ საგზაო უბანზე წარმოებულ მუშაობას ერთი წლის განმავლობაში; იგი აღნიშნავს, რომ გადადებული თანხით შესაძლებელი გახდა გზატკეცილის იმდენად შეკეთება, რომ იგი უკვე გამოსაყენებელია ყოველგვარი საავტომობილო მოძრაობისათვის.

ზუგდიდ-სენაკის საგზატკეცილო უბნის უფროსი ინჟ. **ჟურიარი** ამბობს, რომ მენშევიკებთან ომის დროს განადგურებული სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილი და მათზე მდებარე ხიდები დღესაც უნუგეშო მდგომარეობაშია. მოძრაობა ამ გზაზე სწარმოებს დიდი დაბრკოლებით. შეკეთებულია მხოლოდ რამდენიმე ომის დროს აფეთქებული ხიდი, თვით გზის მოედანი კი გაცვეთილი და მოუფენელია ხორხით. საჭიროა დიდძალი ფული გზატკეცილის ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად.

გორი-ცხინვალ-ჯავის საგზატკეცილო უბნის შესახებ მოხსენებით გამოდის ინჟ. **იანუშკევიჩი**, რომელიც აღნიშნავს ამ გზატკეცილის ცუდ მდგომარეობას. ეს გზა აერთებს საქართველოს სამხრეთ-ოსეთთან და პოლიტიკურ მნიშვნელობის გარდა, დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს. მიუხედავათ ამისა, ამ გზას არ ექცევა სათანადო ყურადღება, მის შესაკეთებლად მიღებული თანხა მეტად უმნიშვნელო იყო გზის საჭიროებასთან შედარებით. სადგომი შენობები არ მოეპოვებათ არა მარტო გზის ხელოსნებს, არამედ გზის უფროსსაც და ტეხნიკურ პერსონალს.

ყრილობა ისმენს აგრეთვე მოხსენებას **ჯავა-როკის** გზატკეცილის გასაყვანად წარმოებულ კვლევა-ძიების შესახებ. ამ გზას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი სამხრეთ-ოსეთს უკავშირებს ერთი მხრით ჩრდილოეთ-კავკასიას, რომელთანაც ოსეთს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს, და მეორე მხრივ დასავლეთ საქართველოს. ეს გზატკეცილი ხელს შეუწყობს აგრეთვე იმ ადგილების ხელახლა დასახლებას, რომლიდანაც მოსახლეობა აყრილი იყო მენშევიკების დროს.

უკანასკნელ მოხსენებას **ხურამ-როკით-ძერულის** გზატკეცილის გასაყვანად წარმავალ მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ინჟ. ყაზ[illegible]მა, რომელიც აცნობს რა ყრილობას ამ გზის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას, კარტოგრამების და გეგმების საშუალებით უთვალისწინებს ყრილობას წარმოებულ კვლევა-ძიების შედეგებს.

9 თებერვლის საღამოს სხდომას დაესწრო მშენებელთა კავშირის მდივანი ამხ. აღლაძე, რომელმაც ყრილობის ყურადღება მიაპყრო მუშაობის წარმოების წესზე, ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ ერთხელ და საბოლოოდ უარყოფილ იქნეს მუშაობა მოიჯარადრეების საშუალებით, რომელიც ერთი მხრივ აცარიელებს სახელმწიფოს ხაზინას და მეორე მხრივ ამცირებს მუშათა ხელფასს.

მეხუთე დღე

მეხუთე დღეს მოხსენებას აკეთებენ სექციათა წარმომადგენლნი საორგანიზაციო საკითხებზე და შრომის ნაყოფიერების შესახებ. ყრილობა მუხლობრივ არჩევს წარმოდგენილ თეზისებს და მცირე ცვლილებით ამტკიცებს მათ.

ხელოვნების მუშაკთა ყრილობა

გუშინ, დღის 12 საათზე გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა მეხუთე ყრილობა. ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრალური გამგეობის მდივანმა ამხ. **სანდრო ქურიძემ.**

პრეზიდიუმი.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. სტალინი, ტროცკი, ლუნაჩარსკი, მამია ორახელაშვილი, სლივინსკი (სრ. საკავშირო ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტ. კომიტეტის თავმჯდომარე), ყურულაშვილი და დ. კანდელაკი.

საქმიან პრეზიდიუმში ყრილობამ ერთხმად აირჩია ამხ. ამხ. ვალდმანი (კავშირის ცეკას წარმომადგენელი), ს. ქურიძე, პოკროვსკი, გედევანიშვილი, გალუსტიანი, გაბაშიძე, კ. მარჯანიშვილი, ალექსანდროვი, გუნია, ჩახავა, კუდრიაშოვი.

მდივნებად: ამხ. პატარაია და პატერნოვა.

დღის წესრიგი:

ყრილობის დღის წესრიგი შეიცავს მოხსენებას მომენტზე, სრ. საკავშირო კავშირის ცეკას მოხსენებას, ცენტრალურ გამგეობის მოხსენებას, მოხსენებას საშუამავლო ბიუროს შესახებ, საქ. სახელოვნო კომიტეტის მოხსენებას და მოხსენებებს მომავალ მუშაობის შესახებ.

დელეგატის მილების შემდეგ სიტყვა მოსახსენებლად ეძლევა კავშირის ცეკას წარმომადგენელს ამხ. ვალდმანს, რომელიც მიმოხილვას უკეთებს კავშირის ორგანიზაციულ მუშაობას და მის სახელოვნო პოლიტიკას ერთი წლის განმავლობაში.

პარტიული ცხოვრება

როგორ მუშაობს საგარეჯოს კომუჯრედი

ა|წ. 1-იანვრიდან,—საგარეჯოს კომუჯრედთან ამხ. მ. სადაგიშვილის ინიციატივით დაარსდა პოლიტწრე. ეს წრე მეცადინეობს ყოველ ორშაბათობით.

ამას გარდა ხშირად იმართება კომუჯრედის ღია კრებები, რომელსაც აუარებელი გლეხობა ესწრება. ამ კრებებზე ირჩევა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები.

ზემოხსენებულ სადაგიშვილისავე თაოსნობით ამ ბოლო ხანებში გამოვიდა კომუჯრედის კედლის გაზეთი „წითელი გლეხის“-ს სახელწოდებით.

მ. გარსიაშვილი.

თამბაქოს ქარხნების კომუჯრედების გაერთიანებული კრება

ა|წ. იანვრის ბოლო რიცხვებში მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა თამბაქოს ქარხნების კომუჯრედების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 200 ამხანაგი. დღის წესრიგში იდგა ამხ. ავეტისოვის მოხსენება სამუშაო ხელფასის შესახებ.

მომხსენებელი თავის ვრცელ მოხსენებაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების აყვავებაზე და მრეწველობის განვითარებაზედაა სავსებით დამოკიდებული სამუშაო ხელფასის გადიდების საქმე. საწარმოო ძალები დღეს პროლეტარიატის საბჭოთა სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენს და ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა, რომ მშრომელმა მასსამ თავისი ძალღონით და შრომით ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის აღმშენებლობას, რათა ერთის მხრივ ეს არის უტყუარი თავდები თვით მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების, ხოლო მეორეს მხრივ ჩვენი რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მიღებული იქნა სათანადო რეზოლიუცია.

პარტკორი მ. ვარსიმაშვილი.

სოფ. კოტიანეთის კომუჯრედში

(ძველი-სენაკის თემი)

სოფ. კოტიანეთში პარტმუშაობა და მუშაობა უპარტიო მასებში არ არის გამოცხოველებული. ხშირად უნდა იმართებოდეს ღია კრებები, სადაც უნდა ესწრებოდეს უპარტიო მასები და ირჩეოდეს ყველა ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრება ადგილობრივ, მაგრამ ასეთები ჯერჯერობით არ არის. ეს აიხსნება არა პარტწევრების გულცივობით და დაუდევრობით, პირიქით, ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ კრებები იმართება სისტემატიურად, სწარმოებს მეცადინეობა პოლიტწრეებში.

მაგრამ აღნიშნული ნაკლი აიხსნება ორგანიზატორის უყოლობით. ამასთანავე უჯრედი მოიკოჭლებს იმ მხრივაც, რომ ზოგიერთ [illegible]რებმა არ იციან წერა-კითხვა.

რაც შეეხება მიწის რეფორმას სოფ. კოტიანეთში, ეს უკვე დიდი ხანია ჩატარებულია. მშრომელ გლეხკაცობას მიეცა ის მიწები, რომლებიც ჩამოერთვათ თავად-აზნაურებს. მაგრამ საჭიროა ყოველ მიზეზის გარეშე ზოგიერთი ადგილების გადათვალიერება. უნდა ჩამოერთვას მიწები იმათ, რომლებიც გაიძახიან: „**სხვისი მიწა მომცეს, არ მესაჭიროებოდა, მომცეს და რას ვეძებდიო**“.

ყოველივე ზემოაქმულს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ალ. სალკკელი.

ს. კ. პ. ცეკას სასოფლო კომისიის მუშაობა

საბჭოთა სოფელი მოითხოვს, და სავსებით სამართლიანად, თავის კულტურულ-პოლიტიკურ დონის აწევას; მას სურს დაეწაფოს საერთო კულტურა-ცივილიზაციას, მიიღოს აქტიური და უშუალო მონაწილეობა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებაში, განავითაროს საბჭოთა საზოგადოებრივობა და სხვა.

ერთი სიტყვით, თანამედროვე სოფლის წინაშე სდგას მრავალი რთული და ძნელი საკითხები, რომელთა მოგვარება-მოწესრიგება მოითხოვს დიდ დროს და შრომას. რა თქმა უნდა, ამ საკითხებს სოფელი მარტოკა ვერ მოაწესრიგებს, თუ მას არ გაუწია მეგობრული დახმარება და ხელმძღვანელობა პროლეტარულმა ქალაქმა. უკანასკნელი ვალდებულია გაუზიაროს თავისი გამოცდილება და კულტურული ძალები სოფელს და ამ რიგათ განამტკიცოს მასთან მჭიდრო კულტურული კავშირი.

რა თქმა უნდა, აქ მმართველი პარტიის როლი დიდია, ამ საკითხის მოგვარება-მოწესრიგება თითქმის მარტო მასზედ არის დამოკიდებული.

ჩვენი პარტიაც, თანახმად მისი დიდი ბელადის ანდერძისა, სოფლის და გლეხობის საკითხს აყენებს თავის ყოველდღიურ ამოცანათა პირველ რიგებში.

კომპარტიის მე-13 ყრილობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრო სოფლის საკითხს და მის შესახებ გამოიტანა დადგენილებათა მთელი რიგი.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე უფრო საგულისხმოა ის, რომ ყრილობამ სცნო საჭიროდ ყველა პარტიულ კომიტეტთან ყოფილიყო გამოყოფილი სპეციალური კომისია, რომელიც განსაკუთრებით იმუშავებდა სოფლის საკითხების გარშემო.

ამ დადგენილების გამოტანა იყო ნაკარნახევი იმ მოვლენით, რომ ხშირად პარტიულ კომიტეტებს თავისდაუნებურათ. მუშაობის სიმძიმე გადაჰქონდათ ქალაქებში და სამრეწველო რაიონებში და ამრიგად სოფლად მუშაობა შედარებით უფრო მივიწყებული რჩებოდა. ეხლა კი—სპეციალური, ავტორიტეტული კომისიის გამოყოფით, არა თუ ბოლო ეღებოდა ასეთ მოვლენას, არამედ პარტიის მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადადიოდა სოფლად. ამგვარად პარტიამ „იბრუნა პირი“ სოფლისაკენ და შეუდგა მის ჭირ-ვარამის შესწავლას და განკურნებას.

ს. კ. პ. ცეკამაც გამოჰყო სოფლად მუშაობის კომისია (თათბირი), მაგრამ სანამ იგი შეუდგებოდა მუშაობას, ცეკამ მოიწვია სოფლის კომუჯრედების მდივნების გაფართოებული თათბირი. თათბირმა მოგვცა ჩვენ საკმაო უტყუარი მასალა სოფლის მდგომარეობის შესახებ, მან გადაგვიშალა ნამდვილი სურათი ჩვენი სოფლის ყოფა-ცხოვრებისა და ჭირ-ვარამისა. რა თქმა უნდა, ეს მასალა სასოფლო კომისიის მიერ იქნება ფართოდ გამოყენებული თავის მომავალ მუშაობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცეკასთან არსებული სასოფლო კომისია იქნა გადიდებული და მის შემადგენლობაში შევიყვანეთ 11 სოფლის უჯრედის მდივანი, რომლების მეოხებით ცეკას კომისიას საშუალება ექნება იქონიოს მუდმივი და უშუალო კავშირი პერიფერიებთან. გარდა ამისა ცეკას სასოფლო კომისიაში შედის 8, მაზრის ფარგლებში მომუშავე ამხანაგები და სამი კი—უშუალოდ. ძირითად კოოპერაციაში მომუშავენი ამ რიგათ, ჩვენი სასოფლო კომისიის შემადგენლობა არის მეტად მრავალფეროვანი, რაც ჩვენ მოგვცემს საშუალებას ვიქონიოთ უფრო ვრცელი და ფართო წარმოდგენა ადგილობრივ, სოფლად წამოჭრილ საკითხებზე.

ვინაიდან კომისიის შემადგენლობა შედარებით მრავალ-რიცხოვანია—(46), რის გამო მისი შეკრეფა მოკლე ვადაში არ შეიძლება, ამისთვის მუდმივი მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილია პრეზიდიუმი 11 კაცისაგან შემდგარი.

ხოლო ყოველ-დღიური მუშაობის ხელმძღვანელობის გასაწევათ გამოყოფილია პრეზიდიუმის ერთი წევრი, რომელიც ითვლება სასოფლო კომისიის პასუხისმგებელ მდივნათ და განთავისუფლებულია ყოველგვარ სხვა მუშაობისაგან.

ჩამოყალიბდა თუ არა კომისია ორგანიზაციულად, მან დაისახა თავისი მომავალი მუშაობის (სამთვიანი) გეგმა. დასახული გეგმა ძალიან უბრალო და მარტივია, ვინაიდან კომისიამ წამოაყენა საკითხები, რომლების გადაწყვეტას ის დანიშნულ დროის განმავლობაში სრულებით შესძლებდა.

დასახულია:

1) მიმდინარე საბჭოთა არჩევნების ჩატარების პროცესის ყოველმხრივი შესწავლა.

2) ძირითად მომხმარებელ კოოპერაციის მდგომარეობის მამოკვლევა.

3) შესწავლა და გამოკვლევა 20 ქოხ-სამკითხველოსი, 20 სალიკვიდაციო პუნქტის, 20 სასოფლო სკოლის და 20 ჯანმრთელობის ძირითად უჯრედის მდგომარეობისა.

4) დეტალური შესწავლა და გამოკვლევა 20 სოფლის კომუჯრედის მდგომარეობისა და მუშაობისა.

წამოყენებულ საკითხების მიხედვით გამოყოფილი იქნა სპეციალური სექციები, რომელთაც დაევალა აღნიშნულ ამოცანების განხორციელება. სექციები უკვე შეუდგენ მუშაობას და შეიმუშავეს გამოკვლევის დეტალური გეგმა თავ-თავიანთ სფეროში.

საბჭოთა არჩევნების შემსწავლელ სექციამ უკვე გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯები იმ მხრივ, რომ გაუკეთა მობილიზაცია 15 პასუხისმგებელ ამხანაგს და ცეკას აპარატის საშუალებით დაგზავნა ისინი მაზრებში. მათ აქვთ დავალებული გაუწიონ ინსტრუქცია-ხელმძღვანელობა ადგილობრივ ორგანიზაციებს საბჭოთა არჩევნების ჩატარების საქმეში და ამავე დროს დაწვრილებით შეისწავლონ ყველა ის პროცესები, რომელსაც ადგილი ექნება არჩევნების ჩატარების დროს. გარდა ამ 15 ამხანაგისა მობილიზაციის წესით მაზრებში გაგზავნილ იქნა 8 ამხანაგი, რომლებსაც დაევალათ დეტალურათ შეისწავლონ არჩევნების ჩატარების პროცესი თემის მასშტაბით. რა თქმა უნდა ამხანაგებს მიეცათ სათანადო სახელმძღვანელო ინსტრუქციები, რომ ამ საკითხის გარშემო გვქონოდა უფრო ვრცელი და ყოველმხრივი მასალა, კომისიამ სპეციალური წერილის საშუალებით დაავალა ყველა თავის წევრებს,—უჯრედის მდივნებს, მოეწოდებიათ მისთვის მოხსენებები მათ სოფელში არჩევნების ჩატარების შესახებ.

სხვა სექციებს ჯერ არ გადაუდგამთ პრაქტიკული ნაბიჯები გამოკვლევის ჩატარების მხრივ. სხვათაშორის ამას ძალიან აბრკოლებს წრევანდელი სუსხიანი ზამთარი. ყოველ შემთხვევაში განზრახულია თებერვლიდან შევუდგეთ გამოკვლევის წარმოებას.

ლ. ზოზოხიძე.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

ინსტრუქცია

მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნებისათვის

სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მიერ ა|წ. იანვრის 8-ს დამტკიცებული დებულების დასამატებლად, მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების, საბჭოთა ყრილობების და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების შესახებ, საარჩევნო კომისიებს და ხელისუფლების ორგანოებს მართებთ საბჭოთა არჩევნების საქმეში იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. სამაზრო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, გათვალისწინებული საარჩევნო დებულების მე-9 მუხლით, უნდა შევსებული იქნეს კიდევ ორი წევრით, რომლებიც იქნებიან წარმომადგენლები ადგილობრივ საგლეხო ორგანიზაციებისა (საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტი და სხვ.).

2. სათემო-საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, გათვალისწინებული საარჩევნო დებულების მე-11 მუხლით, უნდა შევსებული იქნეს კიდევ ერთი წევრით, რომელიც იქნება სასოფლო საბჭოების წარმომადგენელი.

3. იმ სოფლებში, რომლებიც გაფანტული არიან დიდ მანძილზე, არჩევნები შეიძლება მოეწყოს სოფლების თვითეულ ჯგუფში ცალკე, სათემო ცენტრის გარეშე, თუ ამ სოფლების მცხოვრებთა საერთო რიცხვი 100-ზე ნაკლები არ არის.

4. ქალაქების იმ ამომრჩეველთათვის, რომელნიც არ შედიან საწარმოებში ან პროფესიონალურ კავშირებში, როგორც, მაგალითად, შინამრეწველი, დიასახლისნი, მეეტლეები და სხვ., საარჩევნო კრებები უნდა მოეწყოს ტერიტორიალური ერთეულების დაკვალად (რაიონებში, უბნებში და სხვ.).

5. იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო კრებას, განსაკუთრებული პატიესადები მიზეზის გამო, ვერ დაესწრება ამომრჩეველთა საჭირო რიცხვი, ე. ი. საერთო რაოდენობის ნახევარი (დებ. მუხ. 40), კრება შეიძლება კანონიერათ ჩაითვალოს, თუ მასში მონაწილეობას იღებს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 35 პროც. მაინც.

6. საარჩევნო კრება ირჩევს პრეზიდიუმს, რომელშიაც შევა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (დებ. მუხ. 43), როგორც პრეზიდიუმის თავმჯდომარე, და ორი სხვა წევრი:

7. კანდიდატები ან კანდიდატთა სიები კენჭის საყრელათ შეიძლება წამოყენებული იქნენ როგორც თვით საარჩევნო კრებაზე, აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნებული იქნეს (პრესის საშუალებით ან თვილსაჩინო ადგილზე გამოკიდებით) საარჩევნო კრების დაწყებამდე.

შენიშვნა: საარჩევნო კომისიებს და მათ რწმუნებულებს არა აქვთ უფლება თავის მხრით წამოაყენონ ცალკე კანდიდატები ან კანდიდატთა სიები.

8. იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს კენჭის ყრა: თვითეული კანდიდატისათვის ცალკე, თუ კანდიდატთა სიებისათვის (დებ., მ. 44), გადასწყვეტს თვით საარჩევნო კრება.

9. საჩივრები არჩევნების უკანონოთ მოხდენის შესახებ, რომლებიც შეტანილი იქნება ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში (დებ. მ. მ. 23 და 25), უკანასკნელმა უნდა წარუდგინოს ზემომდგომ საარჩევნო კომისიას 24 საათის განმავლობაში თავის ახსნა-განმარტებით.

ზემომდგომმა საარჩევნო კომისიამ წარდგენილი საჩივრები უნდა განიხილოს 3 დღის განმავლობაში მათი მიღების დღიდან.

10. არჩევნების გაუქმების (კასაციის) საბაბად ჩაითვლება დარღვევა საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციისა, დებულებისა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების, საბჭოთა ყრილობების და აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების შესახებ და ამა ინსტრუქციისა.

არჩევნების გაუქმება უნდა საყოველთაოდ გამოცხადებული იქნეს ამ პუბლიკაციის საშუალებით ადგილობრივ პრესაში ან ამომრჩეველთა კრებაზე (თემებში, სოფლებში და სხვ.).

11 ხელახალი არჩევნების დრო თვითეულ საარჩევნო ერთეულში უნდა დანიშნული იქნეს იმ ანგარიშით, რომ არჩევნების დაწყებამდე შესაძლებელი იყოს იმ დაბრკოლებათა თავიდან აცილება, რომელნიც ხელს უშლიდენ მოქალაქეებს განეხორციელებიათ თავისი საარჩევნო უფლება.

12. საარჩევნო კომისიებს ევალებათ სასტიკათ ადევნონ თვალყური არჩევნებისათვის კანონით შემოღებულ წესების და ნორმების ასრულებას, კერძოდ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ უსაფუძლოთ არ წაერთვას საარჩევნო უფლება ისეთ მოქალაქეებს, რომელთაც ს. ს. ს. რ. კონსტიტუციის და საარჩევნო დებულების ძალით საარჩევნო უფლება აქვთ. არ დაუშვან შემოღებული წესების დარღვევა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ, და ზომები მიიღონ, რომ ადგილი არ ჰქონდეს იძულებით ზეგავლენას ამომრჩევლებზე არჩევნების დროს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თოდრია.**

1925 წ. თებერვლის 9
ტფილისი—სასახლე.

არჩევნები თბილისში.

არჩევნები ლენინის რაიონში დაწყებული უნდა იქნეს შემდეგი წესით:

16 თებერვალი—ა|კ. რკინისგზების მთავარი სახელოსნოები, გზათა სამსახურის მე-6 უბანი, საქონლის სადგური.

17 თებერვალი—დეპო, ა|კ. რკინისგზათა სამმართველო.

18 თებერვალი—ა|კ. რკინისგზათა სტამბა, გადასახადთა განყოფილება.

19 თებერვალი—მოძრაობის განყოფილება, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კოოპერაცია („ზაკტპო“).

20 თებერვალი—მო|2, გზათა საგალხო კომისარიატის სადარაჯო რაზმი, ა.-კავკ. რკინისგზათა საავადმყოფო.

21 თებერვალი—მილიცია და შინამრეწველები, სატრანსპორტო საგანგებო კომისია და შეიარაღებული რაზმი.

23 თებერვალი—უმუშევრები, დიასახლისები, მშრომელთა არტელი.

ლენინის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ქავთარაძე.**

ბორჩალოს მაზრა

— **ბაშკიჩეთის თემის** საბჭოში 12 წევრი.

— **კამარლინის თემის** საბჭოში აირჩიეს 38 წევრი, მათ შორის 1 ქალია, 5 კომუნისტი.

— **ამამლინის საბჭოში** არჩეულია 40 წევრი, მათ შორის 5 კომუნისტია.

— **კაშკატალინის საბჭოში** არჩეულია 24 წევრი.

— **კიზილკილისინის საბჭოში** აირჩიეს 21 წევრი, მათ შორის 1 კომუნისტია.

— **დაბურბულახის** სათემო საბჭოში აირჩიეს 30 წევრი, მათ შორის 1 კომუნისტია.

— **ლუჩანის** სათემო საბჭოში 28 წევრი აირჩიეს, მათ შორის 1 კომუნისტია.

— **გომარეთის** სათემო საბჭოში აირჩიეს 21 წევრი, მათ შორის 5 კომუნისტია.

სულ ბაშკიჩეთის რაიონის ყველა საბჭოებში არჩეულია 224 წევრი, მათ შორის 1 [illegible] და 18 კომუნისტი.

არჩევნების შედეგები

— 10 თებერვლის დღის 1—5 საათზე მიღებული ცნობებით. მთელ საქართველოში არჩეულია სულ 10 სასოფლო და 91 სათემო საბჭოებში 3,031 დეპუტატი, მათ შორის 867 კომ. და ახ.-კომ. წევრია (28,6 პროც.), 2.164 უპარტიო (764 წევრი) და 262 ქალი (8,6 პროც.)

მცხეთა (თბილისის მაზრა).

მცხეთაში საბჭოთა არჩევნები ჩატარდა ა|წ. 8 თებერვალს.

საარჩევნო კომისიის გამოკვლევით მცხეთის თემის ორივე სქესის მოქალაქეთა რიცხვი უდრის 3145.

არჩევნებს დაესწრო თბილისის სამაზრო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი ამხ. ვ. მესხი, რომელმაც მოხსენება გააკეთა საბჭოთა არჩევნების შესახებ და მოუწოდა გლეხებს საბჭოში აირჩიონ პატიოსანი მშრომელნი, რომლებიც გაამართლებენ მშრომელების იმედებს.

აირჩიეს 31 დეპუტატი მათ შორის 4 კომუნისტი, 6 კომკავშირელი და 3 ქალი. მცხეთის თემის საბჭოს საპატიო წევრებად არჩეული იქნენ ამხ. **საშა გეგეჭკორი, ვარლამ მესხი და ლადო სუხიშვილი.**

აღმასკომის პრეზიდიუმში არჩეული იქნენ: ამხ. **ბაგრატ ხუბიეროვი** (კ. პ. წევრი), **გრიშა ნადერეიშვილი** (ა. ლ. კ. კ. რაიკომის მდივანი) და **გ. მაჩხანელი** (უპარტიო გლეხი).

სამაზრო ყრილობაზე გასაგზავნათ არჩეული იქნა 5 ამხანაგი.

ვ. ონტოფელი.

საგარეჯო (გარე-კახეთი).

2 თებერვალს შესდგა საგარეჯოს გლეხთა საბჭოების სათემო ყრილობა, რომელსაც უნდა ამოერჩია თემის აღმასკომის თავმჯდომარე. ყრილობა გახსნა ნაშუადღევის 1 საათზე—თბილისის აღმასკომის რწმუნებულმა ამხ. კ. გვალიამ, რომელმაც გააკეთა ვრცელი მოხსენება შემდეგ თემაზე „ლენინი და გლეხობა“. შემდეგ ამისა იქნა არჩეული თემაღმასკომის პრეზიდიუმი—თამჯდ. ამხ. ს. აბრამიშვილი, წევრებათ—პ. ქურდოვანიძე, ვ. ბურჯანაძე, კანდ. სტეფანიშვილი და ილ. გოგუაძიშვილი.

ვ. გარსიაშვილი.

ს. ს. ს. რ. საქ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
ბიბლიოთეკა

ამინდი ამიერ-კავკასიაში

10 თებერვალს საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობებით, საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში იდგა შემდეგი დარები:

ბათომი. მოწმენდილი, მზიანი დღეა, ზღვაზე სიწყნარეა, ქარი არ ჰქრის.

ქუთაისი. მოწმენდილი, მზიანი დღეა, ჰქრის აღმოსავლეთის წყნარი ქარი.

სურამი. მოწმენდილი, მზიანი დღეა, ჰქრის სამხრეთის სალი ქარი.

ბორჯომი. მოწმენდილი მზიანი დღეა, ჰყინავს.

თბილისი. მოწმენდილი, მზიანი დღეა, ჰყინავს. ქარი არ ჰქრის.

ბაქო. გუშინ ღამ იდგა ნისლი. დღეს მოწმენდილია. ჰქრის სამხრეთ-აღმოსავლეთის სუსტი ქარი, ზღვაზე სიწყნარეა.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით.

ბათომი	ცელსიუსით	სითბო	2	გრად.
ქუთაისი	"	"	0	"
სურამი	"	ყინვა	6	"
ბორჯომი	"	"	13	"
თბილისი	"	"	8	"
ბაქო	"	სითბო	3	"

ქრონიკა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობა.

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ეკონომიურ საბჭოს შემადგენლობა შემდეგი სახით: თავმჯდომარედ — სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, მოადგილედ—სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, წევრებად—ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე, მიწად-მოქმედების სახ. კომისარი, შრომის სახ. კომისარი, საქართველოს პროფკავშირების მდივანი, ა/კ. ფინსახკომის რწმუნებული, ცენტრალურ-სტატისტიკურ სამმართველოს გამგე, საქ. სახ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და შინავაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული.

კბილის ტექნიკოსების შესახებ.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახკომის დასკვნის თანახმად, დადგენილების პროექტი კბილის ტექნიკოსების შესახებ.

საქართველო პარიზის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე.

სახკომისართა საბჭომ დაამტკიცა იმ განსაკუთრებული კომისიის დადგენილებანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ს. ს. ს. რესპუბლიკის პარიზის გამოფენაზე მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები.

ექსპონატები პარიზის გამოფენისათვის.

სახ. კომისართა საბჭომ დაავალა ს. მ. უ. საბჭოს, მიწად-მოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატებს, საჩქაროდ შეუდგნენ ექსპონატების დამზადებას პარიზის გამოფენაზე გასაგზავნად.

კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს დებულების პროექტი.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ მოწონებული და განხილული კოოპერატიული სტატისტიკის ბიუროს დებულების პროექტი.

ტყიბულის მაღაროებთან არსებული საავადმყოფო.

სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ტყიბულის მაღაროებთან არსებული საავადმყოფო გადაეცა ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებას;

ს. მ. უ. საბჭოს დაევალა მიიღოს თავის თავზე ტყიბულის საავადმყოფოს კომუნალური ხარჯები.

სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას ამხ. ს. ჯუღელის, გ. კუპაიძის და გოგიბერიძის შემადგენლობით, შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა საავადმყოფოს შესანახავად ადგილობრივი პირობების მიხედვით. საავადმყოფოს დეფიციტის დაფარვა ეკისრება დამზღვევ კასას.

ზნეობრივად დაცემულ ბავშვთა კოლონია ავჭალაში.

სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას, ამხ. დ. კანდელაკის, გ. კუპაიძის, ი. ვარძიელის შ. მათიკაშვილის და ყურულაშვილის შემადგენლობით, შეისწავლოს საკითხი თუ რა გზით მიმდინარეობს ბრძოლა მცირეწლოვანთა შორის დანაშაულობის გავრცელების წინააღმდეგ და აგრეთვე გამოარკვიოს ავჭალის ზნეობრივად დაცემულ ბავშვთა კოლონიის მდგომარეობა.

— **დასაზღვევი გადასახადი.** იანვრის განმავლობაში თბილისის დამზღვევ კასაში დასაზღვევი გადასახადებისაგან შემოვიდა 166,626 მან. 58 კაპ.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** ჯერჯერობით შეიძინა 1000 ფუთი ბექმეზი.

— **მეფუტკრეობა.** მიწად-მოქმედ. სახ. კომისარიატის ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით) ითვლება 50,000 ფუტკარის ოჯახი.

— **სოც. დაზღვევის პროცენტების გადიდება.** ა.-კ. უმაღლეს ეკ. საბჭომ დაადგინა სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ დაწესებულებებისათვის სოც. დაზღვევის გადასახადი დააწესოს 10 პროც. 1 თებერვლიდან.

— **წლიური ანგარიში.** თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა აღმასკომის გასული წლის ანგარიშის გამოცემას.

— **მ.-გ. ინსპექციამ** განიხილა და დაამტკიცა ტელეფონის და ტელეგრაფის ქსელის დაცვის შესახებ ცირკულიარის პროექტი.

— **მეეტლეთა კავშირის გამოკვლევა.** მ.-გ. ინსპექციამ დამთავრა მეეტლეთა კავშირის გამოკვლევა. განზრახულია მეეტლეთა ხელ-ახალი აღრიცხვა და მათი კავშირის გამგეობის ხელ-ახალი არჩევა.

— **საორგანიზაციო ბიურო.** მ.-გ. ინსპექციამ დაადგინა თბ. აღმასკომის აპარატის გაუმჯობესების და სხ. მიზნით დაარსებულ იქნას საორგანიზაციო ბიურო.

— **ნაჭრობით მუშაობის შემოღება.** ტრამვაის სახელოსნოებში ნაყოფიერების ასაწევათ შემოღებული იქნა ნაჭრობით მუშაობა.

— **დიდუბის ტრამვაის ხაზი.** 5 თებერვლიდან დაიწყო მუშაობა სადგურ-დიდუბის შორის ტრამვაის მოძრაობა № 13.

— **წყლის გასაწმენდათ.** ავჭალის წყალსადენმა წყლის გასაწმენდათ გასულ წელს დაიხარჯა 56,000 მან.

— **ქ. წყალსადენის განყოფილებამ** წყალსადენის საჭიროებისათვის საარმატურო ტრესტს შეუკვეთა 14,694 მანეთის სხვადასხვა ნაწილები.

— **სკოლების შეკეთება.** ქალაქის სკოლების კაპიტალურ შესაკეთებლათ ქ. აღმასკომმა გადასდო 48,000 მანეთი.

— **სადოსტაქრო იარაღები გურიისათვის და სამეგრელოსათვის.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გურიისა და სამეგრელოს საექიმო პუნქტებისათვის შეიძინოს და დაჩქარებით გადაუგზავნოს სადოსტაქრო იარაღები.

— **ჯანმრთელობის კომისარიატმა** წინადადება მისცა თავის განყოფილებებს ჯარში წვევამდელებთათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოაჩენათ.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** დამზღვევ კასამ იანვარში დახმარების სახით მისცა 52,741 მან. და 63 კ.

— **დახმარება დაზღვეულ უმუშევრებს.** იანვრის განმავლობაში დაზღვეულ უმუშევრებისათვის დამზღვევ კასამ დახმარების სახით გაიღო 2,625 მ. 80 კ. ოქტომბრიდან დეკემბრის 1418 მ. 16 კ.

— **უმუშევართა ხელ-ახალი აღრიცხვა.** დღეს თავდება საბჭოთა მუშაკების კავშირის იმ უმუშევარ წევრთა აღრიცხვა, რომლებიც ღებულობენ ფულით დახმარებას.

— **ჯანმრ. სახ. კომისარიატის** საფარმაცევტო განყოფილებამ შეიმუშავა აფთიაქებიდან წამლების გაცემის წესი.

— **ზედმეტი სამუშაო საათების გაუქმება.** ა/კ. უმ. ეკ. საბჭომ დაადგინა 1-ლ თებერვლიდან სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ დაწესებულებებმა აღარ მისცენ სპეცთანხა ზედმეტი სამუშაო საათებისათვის.

— **სპეცგანაკვეთი.** ა/კ. უმ. ეკ. საბჭოს დადგენილებით მთელ ა/კ. ფედერაციაში სპეცგანაკვეთის უდიდესი ნორმა დაწესებულია 250 მან.

— **სატყეო კულტურა.** თბ. აღმასკომის სატყეო კულტურის სექციამ გასული წლის განმავლობაში გააშენა სანერგეში 12 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის ნერგი.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** 1. ცემიდან—ღონაძეს, 2. ბაქოდან—გაიკ გასპაროვს, 3. ბაქოდან—კოლოშოვს, 4. მირზაჩულიდან—ხორიას, 5. პერადან—ქირანოვს, 6. ახალციხიდან—ჯეჯენის, 7. ბაქოდან—აგამალი-ოღლის, 8. პრისლადნიდან—სემენოვისას.

შემთხვევები

გაქცეული ტუსაღის შეპყრობა.

გასული წლის ივლისის პირველ რიცხვებში, შულავერის გამასწორებელ სახლიდან მიწის გათხრის გზით გაიქცა 15 სისხლის სამართლის დამნაშავე. შულავერის სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებული ზომები ამაო აღმოჩნდა, გაქცეულების აღმოჩენა შეუძლებელი გახდა.

გუშინ საღამოს თბილისის სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა იცნეს ერთ-ერთი გაქცეული ავეტიკ ნიკოგოსოვი, ცნობილი მძარცველი სომხეთში; ნიკოგოსოვი შეიპყრეს.

— **დაჭრა.** 9 თებერვალს საღამოს 10 საათზე ოლღას ქუჩაზე ვიღაც უცნობმა ახალგაზრდამ დასჭრა დანით ზურგში 14 წლის ლიზარიტ მარტიკიანი, რომელიც გადაგზავნილი იქნა მთავარ საავადმყოფოში.

— **ქურდობა.** 6 თებერვალს ა/კ. სახალხო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სამმართველოს № 5 ოთახიდან მოპარული იქნა პორტფელი მოქ. ზინაიდა ჩიხლაძისა, რომელშიაც ყოფილა 30 მან. და სხვა და სხვა საბუთები.

— 9 თებერვალს დილის 10 საათზე სტეროპოლის ქ. № 24 საიმანოვსკის ბინიდან მოპარული იქნა ნივთები.

— იმავე დღეს სტეფანე დათუნაშვილმა განაცხადა, რომ მას მოქ. ირინე ბატოცკისამ მოპარა 27 მანეთი, რომელიც მიღებულ ზომებით შეპყრობილი იქნა.

— **ქურდი ქმარი.** 9 თებერვალს ალექსანდრა ფეოდოროვისამ, მცხ. კუტალოვის ქ. № 21, განაცხადა, რომ გაქურდული იქნა მისი ბინა მისივე ქმარის პაველ გიორგიევის მიერ, რომელსაც წაუღია სხვა და სხვა ნივთები.

— 9 თებერვალს სასტუმრო „ახალციხე"-ში გაქურდული იქნა ჯაბაგიშ მამედ ოღლის და მოლა აბდულ ოღლის ოთახი, საიდანაც წაღებულია [illegible] ნივთები.

მუშათა ცხოვრება

საექიმო დარგში მომუშავეთა რეგისტრაცია.

მედსანშრომის კავშირის ცენტრალური გამგეობა აუწყებს კავშირის უმუშევარ წევრებს, ერთეულებს (რომლებიც არა საექიმო დაწესებულებებში მუშაობენ), მოწაფეებს, რომ ა. წ. 12 თებერვლიდან 18-დე საღამოს 6 საათობით კავშირის შენობაში ხელახალი რეგისტრაცია იწარმოება.

ზემოაღნიშნულ პირთა გამოცხადება სავალდებულოა.

ვინც არ გატარდება და საამისოთ საპატიო მიზეზი არ ექნება, მექანიკურად გამორიცხულად ჩაითვლება.

ცენტრალური გამგეობა.

ასეთი საქმიანობა მუშურ ორგანიზაციას არ შეშვენის.

ქ. თბილისში არსებობს რკ. გზის დამტვირთავ-გადმომტვირთავთა ბიურო, რომელიც საბარგო სადგურზე დღიურ მუშებს აწვდის სამუშაოს. ამ მუშების ჯგუფი გურულებისა, მეგრელებისა და რაჭველებისგან შედგება. აშკარად უნდა ითქვას, რომ ხსენებული ბიურო ისეთ უკანონობასა და უწესობას სჩადის, რომ არსებულ ხელისუფლების დროს ეს დაუშვებელია და მიუღებელი.

მათი მუშებისადმი მოქცევა, მიმართვა მოგვაგონებს ძველი დროის მოხელეებს; უბრალო შეკითხვის დროს მუქარით და ყვირილით ისტუმრებენ მათ. მუშას უფლება არ აქვს თავისი მოძმის გაჭირვება აუხსნას ბიუროს და სამუშაო მისცეს მას.

აქ ნათლიმამობას და ბიძაშვილობას დიდი გასავალი აქვს თავისიანების და უნაცნობო, უნათესავო უმუშევრები (უმეტესად რაჭველები) სამუშაოს გარეშე რჩებიან, მიუხედავათ იმისა, რომ თვით მუშებმა შესჩივლეს მათ, მიუთითეს მათ უკანონობაზე.

მაგრამ ამას ექცევა ყურადღება?

ისინი მაინც იმათ გზავნიან სამუშაოზე, ვინც მათ სულსა და გულს ესიამოვნება.

დასაშვებია თუ არა ასეთი თვითნებობა და სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს.

ინფ. აზიზო ფორეიშვილი.

ვინ სძარცვავდა რკინისგზას?!

ამ დღეებში ა/კ. რკინის-გზების სამასალო სამსახურში აღმოაჩინეს მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა, რომელიც გამოიხატა შემდეგში: მოანგარიშე ქარცივაძე, ჰუმბურიძე, გიტლინგი და გაბრიელოვი ადგენენ ყალბ ქაღალდებს, ვითომდა მათ ერგებოდათ მივლინების ფული, ზედმეტი სამუშაოსი და სხვა. ხელს აწერდენ ყალბად ბუღალტერის და სამასალო სამსახურის უფროსის მაგიერ და გამოჰქონდათ რკინის-გზის სალაროდან ფულები. ა. წ. აგვისტოში გამოუტანიათ 63 ჩერვონეცი. იპოვეს მეორე ყალბი საბუთიც 75 მან. და სხვა. დაპატიმრების დროს ბოროტმოქმედებაში გამოტყდენ ყველანი და აღიარეს, რომ ასეთი საშუალებით ყოველთვის გამოჰქონდათ ფულები. ქარცივაძის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ახალი საბუთები, რომლის საშუალებით სალაროდან უნდა გამოეტანათ 950 ჩერვონეცი.

კვლევა-ძიება გრძელდება.

იმედია ასეთი აფერისტები ღირსეულ სასჯელს მიიღებენ ჩვენი ისედაც ღარიბ სალაროს გაძარცვისათვის.

საჭიროა, ვიცოდეთ, თუ რად ეძინა ადმინისტრაციას.

მუშკორი ტაბაკინელი.

რას მივაწეროთ?

(განათკომის საკან. ნივთ. მთავარ კანტორის საყურადღებოდ).

ამ რამოდენიმე ხნის წინად გან. კომ. საკ. ნივ. მაღაზიების თანამშრომელთა საერთო კრებაზე იქნა ამორჩეული კომისია, რომელსაც ადმინისტრაციასთან ერთად უნდა ეწარმოებია მუშაობა მაღაზიების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; და ამაზე უნდა გაეკეთებიათ მოხსენება ორ კვირაში ერთხელ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი შრომის ნაყოფიერების ზრდის დონე.

აგერ მეოთხე თვე გადის და ადმინისტრაციას ერთხელაც არ მოუწვევია კრება.

ადმინისტრაციავ! საკმარისია ამდენი ძილი და საქმისადმი ასეთი გულგრილობითი მოპყრობა.

ინფ. კ. მუხურელი.

დროა გამოვიღვიძოთ

ქარხანა „თემქაში" წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობი კომისიას აქამდის არაფერი არ გაუკეთებია, საჭიროა გამოღვიძება და საქმის გაკეთება, ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა პირველ საკითხად სდგას საბჭოთა რესპუბლიკაში.

მუშკორი კორცხო.

გამოგზავნილი წერილებიდან

საჭიროა მოეწყოს დასასვენებელი სახლი.

თელავის მაზრაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1.500-მდეა და წარსულ წელს კი მიეცათ მათ დასასვენებელ სახლებში მხოლოდ ოთხი ადგილი. ამიტომ გადასწყვიტეს თელავში დასასვენებელი სახლი გახსნან. საქმე უკვე დაწყებულია და იმედია, პროფბიურო და დამზღვევი სალარო განახორციელებენ ამ საქმეს, ცენტრის დახმარებით.

ინფ. ვან—ლი.

ხანძრის საშიშროება უნდა ავიცილოთ

(ქ. ფოთის აღმასკომის საყურადღებოდ).

ქალ. ფოთის აღმასკომი ენერგიულ მუშაობას ეწევა, მხოლოდ ერთი მოვლენა მას მაინც გამოეპარა მეთორნეების შესახებ: დუქანში თორნის ქონა დიდ საშიშროებას იწვევს მოსალოდნელ ხანძარის გამო.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და მეთორნეებს მიეცეთ წინადადება თორნე დუქნის გარედან მიაკეთონ.

ინფ. გამვლელი.

საჭიროა რკინის ციხე

(რკინის გზ. სამმართველოს და საუბნო კავშირის ს. ყურადღებოდ).

იანვრის 14-ს სადგურ მარტოთუბანში მორიგემ ბ. ნადირაძემ შავი ქვის მატარებელი № 240 სად. ბოლლევში ტყუილ-უბრალოდ შეაჩერა. მიზეზი იყო მისი ქეიფი და დათრობა.

ასეთი პირები საბჭოთა ხელისუფლების დროს რკინის ციხით უნდა გაიგავონ.

ინფ. პ. კაპანაძე.

გაცხრილეთ მუშფაკი

რკ. გზის მუშფაკში მსმენელნი გაკვეთილებს სცდებიან, რითაც საერთო მეცადინეობას ხელს უშლიან. საჭიროა ზომების მიღება, რომ ამისთანა მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს მუშფაკში.

მუშა ჯარეიშვილი.

ფაბრიკა-ქარხნებში

სამხედრო ხე-ტყის ქარხანა

ყინვებმა შეუშალა ხელი.

ყინვების გამო გზაში დარჩა 15 ჯივი ზომით 15000 კვ. ვერშოკი აგრეთვე რკინის გზითაც შეუძლებელი გახდა მისი გადმოზიდვა. ამისთვის ქარხანა იდგა.

ეხლა მასალა მიიღეს.

რკ. გზის გახსნის შემდეგ მასალა მიიღეს: ჯერ მოუვიდათ 6 რონოდა და ეხლაც 2, რომელსაც ეზიდებიან სადგურიდან, 5 ც. გზაშია. ასე, რომ ამიერიდან ქარხანა სისტემატიურად იმუშავებს.

ყინვამ თვით ქარხანასაც ავნო.

ყინვების გამო გაფუჭდა წყალსადენის მილი, რის გამოც ეზიდებოდენ წყალს მტკვრიდან კასრებით და ეხლა უკვე აწყობენ მის გადმოქაჩვას საქაჩი მანქანით. ამის გამო დღეს ქარხანა სდგას.

მოთხოვნილება იანვარში შემცირდა.

წ. წლებთან შედარებით მოთხოვნილება მასალაზე იანვარში შემცირდა 50 პროც.; ამის მიზეზადაც გამოდებული სიცივეები უნდა ჩაითვალოს, რადგან მუშაობა შეფერხებული იყო. ეხლა ეს გარემოება ნორმალურ კალაპოტში დგება.

უნდა შეიკრან ახალი კოლხელშეკრულება.

რადგანაც ქარხნის გადაცემა სატყეო ტრესტზე აღარ მოხერხდა და ისევ სამხ. უწყებას დარჩა—ძველი კოლხელშეკრულებას, რომელსაც ვადა გაუვიდა—განახლებული იქნება.

წ.-კ. უცოდინარობა მოისპო.

ქარხნის მუშათა შორის წ.-კ. უცოდინარი მხოლოდ ერთია და ისიც მოხუცი, დანარჩენები ყველა მცოდნეა, ნაწილი სალიკვიდაციო სკოლაში დაიარება.

ინფ. ტონკა.

საბჭოთა სასამართლო

მკვლელობა

აღმოსავლეთ ოლქის სასამართლოში ამხ. გ. ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულნი: ს. დავითაშვილი, ს. გორდაძე და პროკურორის თანაშემწეს სარამიძის მონაწილეობით მოსმენილი იქნა საქმე ოზურგეთის მაზრის გლეხისა ქ. თბილისში მცხოვრების პეტრე სეფერთელაძისა, რომელსაც ბრალი ედება ბოროტმოქმედების ჩადენაში. რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კოდექსის 148 მუხლით.

კოჯრის გზაზედ სოფელ ტაბახმელის მახლობლად ივანე ჯიქიაშვილს ჰქონდა ღვინით სავაჭრო.

ხშირათ ივანე ჯიქიაშვილი ეჩხუბებოდა გამვლელ გლეხებს, ლანძღავდა მუშათა და გლეხთა მილიციის წარმომადგენლებს მაშინ, როდესაც ისინი ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას და ემუქრებოდა მათ ცემით, იარაღის წართმევით.

რამოდენიმეჯერ ივანე ჯიქიაშვილს სისრულეში მოუყვანია თავისი მუქარა; მაგალითად სადარაჯოზე მდგომ მილიციელებს თელიას და ასაფითოვს აყარა იარაღი და მეორედ, როდესაც ჯიქიაშვილს სურდა აეყარა იარაღი მილიციელ ტატიშვილისათვის, უკანასკნელი იძულებული გახდა ესროლა თოფი ჯიქიაშვილისათვის, მაგრამ გასროლილი თოფი არ გავარდა და ჯიქიაშვილი გადარჩა სიკვდილს.

26 ივლისს, საღამოს ხანს როდესაც ბრალდებული სეფერთელაძე და იქვე მოვაჭრე დავით იაშალმაშვილი ლაპარაკობდნენ, ჯიქიაშვილი მივარდა, სრულიად უმიზეზოთ დაუწყო ლანძღვა-გინება სეფერთელაძეს. სეფერთელაძემ მიმართა თხოვნით ჯიქიაშვილს ეკმარა ამდენი ლანძღვა, მაგრამ ჯიქიაშვილი თავისას არ იშლიდა. მაშინ სეფერთელაძემ გადმოიგდო მხარზე გადაკიდებული სამზახიანი შაშხანა თოფი და ესროლა ჯიქიაშვილს. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჯიქიაშვილი გარდაიცვალა.

დადგენილება.

ბრალდება პეტრე სეფერთელაძის მიმართ ჩაითვალოს დამტკიცებულათ და თანახმათ ს. ს. კოდექსის 148 მუხ. ძალით მიესაჯოს პეტრე სეფერთელაძეს ერთი წლის დაპატიმრება თავისუფლების აღკვეცით და გამასწორებელ სახლში მოთავსებით. მხოლოთ თანახმათ ცაკ-ის ამნისტიისა, სეფერთელაძე განთავისუფლებული იქნეს სასჯელის მოხდისაგან.

ფ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„რომეო და ჯულიეტა"

პარტიები საუცხოვოთ არის განაწილებული. ოპერა კარგათაა მომზადებული. ეს ჩანს ანსამბლის ყველა ადგილების (სოლისტები და გუნდი) და გუნდის ნომრების [illegible] შესრულებიდან.

ჯულიეტას მომხიბლავი, გულწრფელი სახე მოგვცა მომღერალმა პოპოვამ. ყველა აქტები მომღერალს ლირიულ ტონში მიყავს. პოპოვას ხმა მთელი ოპერის მანძილზე თანაბრათ ჟღერს და ის იტაცებს მაყურებელს თავისი გულწრფელობით. შესრულების საუკეთესო ადგილებია— ჯვარისწერის სცენა, გამოსათხოვარი დუეტი რომეოსთან და სიკვდილის სცენა.

კულაგინი (რომეო) პოპოვას საუცხოვო პარტნიორი იყო. ამ ნიჭიერმა და მუსიკალურმა მსახიობმა აღზნებულ, შეყვარებულ ახალგაზრდა კაცის სწორი სახე მოგვცა. დრამატიულ მხარეს ახასიათებს ზომიერობა, არ არის ზედმეტი ჟესტები; ხმა საუცხოვოდ გამოხატავდა რომეოს განცდას. კარგია თვითმკვლელობის სცენა ჯულიეტას კუბოსთან. აქ კულაგინი მოხერხებულათ იყენებს დრამატიზმს სიმღერაში და თამაშში. ლამაზი და პლასტიურია გარეგნობა.

ისეცკის (მამა ლორანი) სწორი ტონი აქვს აღებული დრამატიულ გადმოცემაში—მისი ლორანი საოპერო ტრაფარეტი კი არ არის, არამედ ცოცხალი სახეა. მხოლოდ ჯვარისწერის სცენაში საჭირო არ არის ასე ხმამაღალი სიმღერა (ყველაფერი ხომ საიდუმლოთ ხდება).

მერკუციოს ლამაზ სახეს იძლევა ვენაძე. კარგათ იყო შესრულებული პირველი აქტის ბალადა. აღსანიშნავია ის, რომ ახალგაზრდა მსახიობი წინ მიიწევს, როგორც ვოკალურის, ისე დრამატიულის მხრივ. საჭიროა მხოლოდ გრიმის უფრო დეტალურად დამუშავება.

ლამაზი პაჟია ვოლჩანეცკაია. მუსიკალურათ შესრულა მომღერალმა სერენადა.

სტოლერმანმა გამოყო ყველა მელოდიები და საორკესტრო შესრულების მთლიანი სურათი მოგვცა.

ვ. ბ.

— **ვილიამ დორიანის გასტროლები.** 12 თებერვლიდან სახელმწიფო ოპერის თეატრში დაიწყება ცნობილ იტალიელ მომღერლის (ტენორი) ვილიამ დორიანის გასტროლები.

— **უოლტ უიტმანი ქართულად.** კონსტანტინე გამსახურდიამ ინგლისურიდან გადმოთარგმნა უოლტ უიტმანის „რჩეული პოემები" წიგნს დართული ექნება წინასიტყვაობა და უიტმანის ვრცელი ბიოგრაფია. წიგნს სცემს სახელგამი.

— **პოლევიცკაიას გასტროლი.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება პოლევიცკაიას გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „რომანი".

— **ცირკში** ლაზარენკოს გასტროლი.

— **სახელმწიფო ოპერაში** დღეს წარმოდგენილი იქნება დოლიძის „ქეთო და კოტე".

— **ა. კ. ფ. ტ. სახ. კავშირის** სამმართველოს მიერ თბილისში გადამცემ რადიო სადგურის შენობის ფასადის პროექტის ქართულ ეროვნულ სტილზე დასამზადებლად გამართულ სამხატვრო შეჯიბრებაში, ჟიურის მიერ მოწონებული იქნა სამხატვრო აკადემიის მოწაფეთა სარქისოვის და მიხეილ ჩხიკვაძის მიერ წარდგენილი პროექტი.

— **წითელი თეატრი.** ხუთშაბათს, თებერვლის 12-ს წარმოდგენილი იქნება [illegible] ეგ. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში", დადგმა ალ. წუწუნავასი.

— **ქართველ მსახიობთა კოლექტივის** მორიგი წარმოდგენა ოთხშაბათს, თებერვლის 11-ს საოპერო თეატრში არ შესდგება, ვინაიდან დასი ამზადებს ახალ ორიგინალურ ისტორიულ პიესას „პაატა ბატონიშვილი".

— **სახელმწიფო კონსერვატორიის** დარბაზში 16 თებერვალს, პროფ. ზელიონი მართავს კონცერტს თავისი კლასის ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„მოუთმენლობა".
— არფასტო—„როზიტა".
— სოლეი—„როზიტა".
— მინიონ—„მოცეკვავე ქალი ბროდვეიდან".
— პალას—„ორი სიყვარული".

პროვინციაში

სოფ. ზანათის სამკითხველო

(ახალი აბაშის რაიონი)

დიდი ხანია ს. ზანათში არსებობს წიგნთ-საცავ სამკითხველო. მას მოეპოვებოდა საკმაო ლიტერატურა და კიდევაც ასრულებდა თავის დანიშნულებას. მაგრამ შემდეგ სამკითხველოს საქმეები ცუდათ წავიდა.

შეწყდა მიწოდება ჟურნალ-გაზეთებისა სოფლისადმი, გაიფანტა და გაიბნა ის ლიტერატურა, რომელიც მას მოეპოვებოდა და სხ. გასულ წელს ს. ა. ა. ლ. კ. კ. ადგილობრივი ორგანიზაციის აქტიური წევრების ინიციატივითა და მონაწილეობით მის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა, რასაც ადგილობრივი გლეხობა დიდი აღტაცებით შეხვდა და უჩვეულო ხალხი დაესწრო ამ წარმოდგენას.

შემოსული თანხიდან შეკეთებულ და სათანადოთ მოწყობილ იქნა სამკითხველოს შენობა და რამოდენიმე ცალი გაზეთებიც იქნა გამოწერილი. მაგრამ ეს ცოტაა, სამკითხველომ რომ თავისი დანიშნულება პირნათლად შეასრულოს—საჭიროა ის იყოს მდიდარი სადღეისო ჟურნალ-გაზეთებით და მარქსისტული ლიტერატურით, რომლის მოთხოვნილება სოფლის გლეხობაში დღითიდღე იზრდება და რომლითაც ზემოხსენებული სოფლის სამკითხველო ძლიერ ღარიბია. ზნეობრივი მოვალეობაა ზანათელ ყველა შეგნებულ ამხანაგებისა, ვისაც კი გული შესტკივა სახალხო საქმისათვის დაეხმარონ ამ სამკითხველოს რითაც შეეძლებათ—ლიტერატურით იქნება ეს თუ სხვა რამეთი.

ე. ჩოჩია.

მებაღე-მებოსტნეთა გაერთიანება

ქალ. გორი

გორის მაზრის აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების ინიციატივით 5 თებერვალს ქალ. გორის ამხ. სტალინის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა საზოგადო კრება ქალ. გორის მებაღე-მებოსტნეებისა. მთავარი საკითხი დღიურ წესრიგში იყო მებოსტნე - მებაღეთა კოოპერატიულ ამხანაგობის დაარსება. მოხსენება გააკეთა მაზრის აგრონომმა ამხ. კეჩხუაშვილმა. დამსწრეთა მხრივ მრავალ შეკითხვებს ჰქონდა ადგილი, რის შემდეგ ამოირჩიეს გამგეობა და გამოსთქვეს სურვილი, რათა დარქმოდა აღნიშნულ კოოპერატიულ ამხანაგობას „შრომა" და მასთან შემოერთებინა ახლო-მახლო მდებარე სოფლები ტინისხიდი და ბერბუკი.

ლიახველი.

ბოსლევის საექიმო პუნქტი

(შორაპნის მაზრა)

აქ დასახლებულია დაახლოვებით 550 კომლი. გვაქვს ერთი შვიდწლედი სკოლა, ერთი ოთხწლედი სკოლა და ერთი საექიმო პუნქტი. მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, მეტად ცუდ მდგომარეობაშია როგორც შვიდწლედი, ისე ოთხწლედი სკოლა; არ აქვს ფანჯრები (ჩალეწილია), პარტები და სხვა. მოწაფეები და მასწავლებლები სიცივისაგან დიდ გაჭირვებას განიცდიან.

რაც შეეხება საექიმო პუნქტს კარგი მოწყობილია, მაგრამ საექიმო პუნქტის გამგის ამხ. ჟუჟუნაძის მუშაობით ვერ ვართ კმაყოფილი; ერთი ის, რომ იგი რუსის ქალია და ქართული არ სრულებით არ ესმის. ვერ ბედავენ გლეხები მასთან მისვლას. თუ გლეხს დასჭირდა ექიმთან მისვლა, წინდაწინ მოსძებნის ისეთ ვინმეს, რომელსაც რუსული ლაპარაკი შეუძლია და წაიყვანს მასთან, რათა დაელაპარაკოს მას თავის გაჭირვებაზე და წაიყვანოს ავადმყოფის სანახავად. ის არ მიჰყვება ავადმყოფის სანახავად და ამბობს: მე სურსათ-სანოვაგეს ვერ ვშოულობ, მშიერი ვარ და სხვ. ბოლოს ეტყვის: თუ მომცემთ ამდენს და ამდენს (ესე იგი, რასაც გლეხი ვერ შესძლებს), იმ შემთხვევაში წამოგყვებიო. მის მოთხოვნას გლეხი ვერ აკმაყოფილებს და ბრუნდება უარით. როგორც გავს სახლათ ყოფილა პუნქტი ბოსლევის თემში.

შორაპნის მაზრის აღმასკომო! მიაქციე ყურადღება ბოსლევის თემს და იხსენი ასეთი გაჭირვებისაგან გლეხები.

ბოსლეველი გლეხი.

პროვინციის ქრონიკა

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად გორის მაზრაში ამჟამად არსებობს 247 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, სადაც სწავლობენ 11,585 გლეხი.

— **ყავრის მკეთებელთა არტელი.** რაჭის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა შეადგინოს ყავრის მკეთებელთა არტელი.

— **გლეხთა სახლი.** რაჭის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ახლოხანში ონში გახსნას გლეხთა სახლი, რომელთანაც მოწყობილი იქნება იურიდიული დახმარების ბიურო, საექიმო ოთახი, სასადილო, სადალაქო, ბაკი და სხ.

— **სოფ. კოდის წყაროში** (გორის მაზრა) აღმასკომის ხელმძღვანელობით ადგილობრივმა გლეხებმა გაიყვანეს წყარო.

— **ტყავის ქარხანა.** გორის აღმასკომმა დაადგინა გადააკეთოს ტყავის ქარხანა ტყავეულობის დამზადების გაუმჯობესების მიზნით.

— **გორის** მაზრაში ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო უჯრედების მოსაწყობათ.

— **ოზურგეთის მაზრის** საექიმო პუნქტებთან არსებულ საავადმყოფოებისათვის ჯანმრთ. სახ. კომისარიატმა შეიძინა საჭირო თეთრეულობა.

წერილი რედაქციის მიმართ

„კომუნისტში" მოთავსებული განცხადება „მნათობის" შესახებ უკან წაღებულ იქნა „მნათობი"-ს რედაქციის მიერ მხოლოდ იმდენად, რამდენად იქ გამოცხადებულ თანამშრომელთა სია არ ყოფილა რედაქციის მიერ შემუშავებული. ეს შეცდომა დაუშვა კანტორის და ექსპედიციის გამგეობამ. „მნათობი"-ს რედაქცია შეიმუშავებს თანამშრომელთა სიას და გამოაქვეყნებს მას მომავალში.

„მნათობი"-ს სარედ. კოლ. წევრი
ლ. რუხაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების შესახებ *)

III დახმარების ფორმები.

8. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება თავის მუშაობას წარმართავს, როგორც გლეხთა ურთიერთ საზოგადოებრივი დახმარების საქმის მოწყობისათვის (საზოგადოებრივი ძალებით მიწების დათესვა, გლეხობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, საერთო-სასარგებლო დაწესებულებათა დაარსება და მათთვის ხელის შეწყობა, საინვალიდო სახლები, სკოლები, ბაგა, საბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, კერა და სხვა), ისე კერძო გაჭირვებულ პირთა დახმარებისათვის.

9. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების დახმარება შეიძლება იყოს ფულადი, ნატურალური, შრომითი და უფლებრივი (იურიდიული).

დახმარება შეიძლება იყოს ასანაზღაურებელი და აუნაზღაურებელი, თანაც:

ა) ფულადი დახმარების გაწევა სწარმოებს ფულადი სესხისა და დახმარების მიცემით;

ბ) ნატურალური დახმარება გაიცემა სასოფლო სამეურნეო იარაღებით, სამუშაო საქონლით, თესლეულით და სასუქით, სააღმშენებლო ხე-ტყით და მასალით და სხვაგვარ საშუალებით—თვით საზოგადოების კომიტეტის შეხედულებისამებრ.

გ) შრომითი დახმარება გაწეულ იქნება მუშა-ხელის მიწოდებით და შაბათობისა და კვირეულის მოწყობით, მიწების დათესვის, მოსავლის მოკრეფისა, შენობის აგებისთვის და სხვ.

დ) უფლებრივი (იურიდიული) დახმარება გაწეულ იქნება იმ სახით, რომ საზოგადოების კომიტეტი დაიცავს საზოგადოების წევრებისა, ქვრივ-ობლებისა, წითელ არმიელთა ოჯახებისა და სხვა არაშემძლე გლეხთა სამეურნეო და უფლებრივ ინტერესებს (მაგალ. საზოგადოების კომიტეტი თვალყურს ადევნებს, რათა დასახელებულ პირებს წესიერად და დროზე მიეცეს სამინდვრე ადგილები და სხვა სანახები, მიიღებს სათანადო ღონისძიებას, რომ ისინი უკანონოდ არ იქნენ გამოსახლებულნი მათ მიერ დაჭერილ სადგომებიდან, დაიცავს მათ შეძლებული გლეხების ექსპლოატაციისაგან და თვალყურს ადევნებს, რათა არაშემძლე პირთა და წითელ-არმიელთა მეურნეობას მიეცეს კანონით დაწესებული შეღავათი და სხვა).

(გაგრძელება იქნება)

სრულიად საქარ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1925 წ. იანვარი.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 1

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიურის შესახებ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სახსართა გასაძლიერებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1. ნება მიეცეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს გამართოს ა/წ. თებერვლის 2, 3 და 4 რიცხვებში წითელი ჯვრის სამდღიური.

2. აღნიშნულ დღეებში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ცალობით სავაჭრო დაწესებულებათა მყიდველი, გარდა პირველი ხარისხის სავაჭრო დაწესებულებებისა, დაბეგრილ იქნეს განსაკუთრებული წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ, ნაყიდი საქონლის ფასის ათი პროცენტის (10 პროც.) რაოდენობით.

3. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს ყოველგვარ საქონელზე, გარდა პირველ მოთხოვნილების საგნებისა—როგორც არის: გამომცხვარი პური, ხორცი, შაქარი, ნავთი, ასანთი, მარილი და რძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ალ. სალარიძე.

1925 წ. იანვრის 24.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 4.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

წითელი ჯვრის სამდღიურის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. იანვრის 24-ს თარიღითა და 1 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ნება მიეცეს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს გამართოს ამა წლის მარტის 2, 3 და 4 რიცხვებში წითელი ჯვრის სამდღიური".

2. ზემოაღნიშნულ დადგენილებას დაემატოს მე-4 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„ამა დადგენილების განხორციელება დაევალოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტსა და მის განყოფილებათა კომიტეტებს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით და მათთან შეთანხმებით".

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ალ. სალარიძე.

1925 წ. თებერვლის 10.
თბილისი-სასახლე.

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 32.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტიულ კლუბში შესდგება მუშკორების სხდომა.

ყველა მუშკორების, პარტკორების და ახკორების დასწრება სავალდებულოა.

— ხუთშაბათს, 12 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიკომის გაფართოვებული პლენუმი, ქალაქის რაიონის უჯრედების მდივნებთან და ბიუროების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგი: რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ანგარიში.

მდივანი **სტურუა.**

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. კონსტანტინე ვაშაძეს გამოცხადდეს ამხ. საკოვთან.

— დღეს, 11 თებერვალს, საღამოს 4 ნახ. საათზე, სახელმწიფო ოპერაში პროფკავშირების წევრთათვის შესდგება ამხ. სერებროვსკის მოხსენება „ამერიკაში მოგზაურობის შესახებ".

შესვლა ბილეთებით. ბილეთები რაიკომების საშუალებით დაეგზავნება წარმოებებს და დაწესებულებებს.

თბ. კომ. მდივანი **ასრიბეკოვი.**

— ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 11 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის გაფართოვებული პლენუმის სხდომა.

თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების და რაიკომების წევრების დასწრება სავალდებულოა.

ს. ა. ლ. კ. კ. თბ. კომ. მდივანი **მეთონიძე.**

განცხადებები

გაზეთ „კომუნისტი"-ს
კანტორა ამით აცხადებს იმ
ხელისმომწერლების საყურადღებოთ,
რომლებსაც აქვთ გაზეთი გამოწერილი 15 თებერვლამდის
დააჩქარონ ფულის შემოტანა,
რომ გაზეთის გზავნა არ იქნეს შეწყვეტილი.
3—2

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 11 თებერვალს
ქეთო და კოტე
ხუთშაბათს, 12 თებერვალს
გასტროლი ცნობილი ტენორის ვილიამ დორიანის
რიგოლეტო
ნ. 782. 3—2

წელი 1925 წელი

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

„მნათობი"

.925 წელს გამოვა „მნათობის" თორმეტი ნომერი და ხელისმომწერთათვის გადაგზავნით ეღირება 16 მანეთი 1925 წელს

ცალკე ნომერი ეღირება 2 მანეთი

პირველი და მეორე ნომერი 1924 წლისა ხელმეორედ იბეჭდება იმ ხელისმომწერთა დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ეს ნომრები არ მიუღიათ.—„მნათობში" თანამშრომლებად მოწვეული არიან საქართველოს საუკეთესო **პოეტები, მწერლები, მხატვრები და მეცნიერები**

ჟურნალში არის შემდეგი განყოფილებანი: მხატვრული ლიტერატურა (საქართველო, რუსეთი, დასავლეთი) კრიტიკა, მხატვრობა, მემუარები, მეცნიერება და პუბლიცისტიკა.

„მნათობს" ჰყავს საკუთარი თანამშრომლები როგორც რუსეთში, ისე დასავლეთის დიდ ქალაქებში.

საჭიროა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რომ ჟურნალი ფართოდ გავრცელებულ იქნას მუშებში, დაწესებულებათა მოსამსახურეებში, ფართო მასაში.

ამიტომ საჭიროა აგენტები ყველა ქალაქებში, დაბებში, სოფლებში.—აგენტებად მიღებულ იქნება მხოლოდ ისინი, ვინც წარმოადგენს ადგილობრივ აღმასკომის თავდებობით ქაღალდს და პირველად მოთხოვნილ წიგნების საფასურს ან ნაღდ ფულად, ან ვექსილით აღმასკომის მიერ შემოწმებულს. თუ აგენტი კერძო პირია, ვექსილს თან უნდა დაერთოს მოწმობა მისი უძრავ ქონების შეფასების შესახებ.—ყველას: აგენტებს, ბიბლიოთეკა სამკითხველოებს, კლუბებს, კავშირებს, სკოლებს, თუ სხვა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს (ცეკავშირის, წარმოკავშირის განყოფილებებს და სხ.), რომლებიც თავის თავზე მიიღებენ შრომას ჟურნალ „მნათობის" გავრცელებისას ჯილდოთ მიეცემათ 15 %.—წლიურ ხელისმომწერლად ჩაითვლებიან ის აგენტები, რომლებიც ერთდროულად შემოიტანენ ან ნაღდ ფულად, ან კანონიერი ვექსილით თითო წიგნზე 6 მ. 80 კ. (ნახევარი წლის საღირალს.) ასს წიგნზე 680 მანეთს და ასე... ნისიად წიგნები არავის არ გაეგზავნება.

დროებითი მისამართი წერილისათვის და ფულისათვის: თბილისი, რუსთაველის პრ. № 22, „დროშის" რედაქციაში—თომა ჩიქვანაიას.

რედაქტორები:
მ. კახიანი.
ვ. ბახტაძე.
ლენტ. რუხაძე.

P. S. თანამშრომელთა სია, რომელიც წავიდა წინა განცხადებაში არ იყო შედგენილი რედაქციის მიერ, ეს შეცდომა მოათავსა იქ კანტორის და ექსპედიციის გამგეობამ. მას შემდეგ კი, რაც ეს სია მოხსნილია, უთანხმოება მოქ. თ. ჩიქვანაიასთან ამოწურულია.
რედაქცია.

კანტორის და ექსპედიციის გამგეობა. ნ. 789 2—1

საზოგადოების საყურადღებოდ

იბეჭდება და სულ მოკლე ხანში დაურიგდებათ ხელისმომწერთ შემდეგი ორიგინალური, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწარმოები ქართველ მეცნიერთა და მწერალთა:

კონსტანტინე კაპანელი (ახალი ორიგინალური შრომა): **სოციალური ესთეთიკის საფუძვლები** შინაარსი: წინასიტყვაობა; რეფლექსი და აზროვნების კონსტრუქცია; გაადვილება და შეფარდება; **ორგანოტროპიზმის პრინციპი**; სამყარო როგორც სხეული; ენტელექია და იდეების მატერიალიზაცია; ამეტყველების პირველი ფორმა; მეტყველება და სოციალური საჭიროება; ინდივიდუალიზმის დაშლა და ხელოვნება. თეატრი და ემოციების სოციალური ბუნება (მარჯანიშვილი, მეიერჰოლდი, რაინჰარდი, სტანისლავსკი), უსაზღვროების იდეია ხელოვნებაში; ხელოვნების რელიგია; ხელოვნება და მეცნიერება; **მარქსიზმი და აზროვნების რეფორმა**; იდეათა გენეზისი; სოციალური ესთეტიკის ორგანოტროპიული ხასიათი; ინდივიდუალიზმის ტრაგედია: „ჰამლეტი", „ფაუსტი", „ბერდოზმანია", „შპიგელმენში"; კულტურის რეორგანიზაცია და ხელოვნების მიმართება; მუსიკა და სოციალური სული ბიოლოგიური რემინისანსით; **ქართული კულტურა სოციალური ესთეთიკის თვალთახედვით.—ქართული ტიპი; დამატებანი ინტერპრეტაციები.—**

II

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ი. თიკანაძის: „მუცლის მოშლა სამკურნალო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით".

III

ვასილ ბარნოვი: ბედის ვარსკვლავი (რომანი).

IV

თედო ბეგიაშვილი: **„ქართული სიტყვიერების ისტორია"** სახელმძღვანელო **სკოლებისათვის** და თვითგანვითარებისათვის. (სახელმწიფო **სამეცნიერო საბჭოს** მიერ 1923 წლის 28 ივნისის სხდომის დადგენილების თანახმად, წიგნი მოწონებულია და ნებადართულია, **როგორც სკოლებში სახმარი სახელმძღვანელო**,—ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს მდივანი **მ. ზანდუკელი.**—სახგანკომის **პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობის** მიერაც მოწონებულია სახელმძღვანელოდ და მას „საჭიროდ მიაჩნიათ ახლავე დაიბეჭდოს" 10 ნოემბ. 1923 წელი № 3031.—პროფ. კ. კეკელიძის წერილობითი მოხსენებით: წიგნი შედგენილია სხარტად, გასაგებად და მეცნიერული სისწორით; **ასეთი მეთოდი მეცნიერებაში უკანასკნელად მიღებულია და მოწონებული.** ჩვენს **სასკოლო** ისტორიულ მწერლობაში ის **პირველთაგანი ნახმარი** და, უნდა ვსთქვათ, **ჩინებულადაც** გამოყენებული. პროფ. კეკელიძე, 28,6 1923 წელი.)

V

დ. კასრაძე: თეატრი: ციხის ცრემლები, იუდა, რია, მეფე არლეკინი.

ხუთივე წიგნი ღირს შვიდი მანეთი და 40 კ.

კლუბები, სამკითხველოები, ადგილკომები, საქარხნო კომიტეტები, კავშირები, სკოლები, თუ სხვა რომელიმე ორგანიზაციები რამდენ ათ (10) ხელისმომწერს იშოვნიან, იმდენ ცალს ხუთივე წიგნისას მიიღებენ სრულიად უფასოდ.—**ცალცალკე წიგნის გამოწერა არ შეიძლება**, მხოლოდ **სკოლებს** შეუძლიათ გამოიწერონ და ისიც კოლექტიურად **თ. ბეგიაშვილის** წიგნი მოწაფეთათვის **სახელმძღვანელოდ.**— სკოლებისათვის თედო ბეგიაშვილის წიგნი ეღირება **1 მან. 50 კ.**, რადგან სკოლებისათვის ხსენებული წიგნის ზედმეტი ეგზემპლიარის ბეჭდვა დაგვჭირდება, ამიტომ საჭიროა (რომ მოწაფეები სახელმძღვანელო წიგნის უქონლად არ დარჩენ) ადრევე გავიგოთ რამდენი ცალი წიგნისა დასჭირდება სკოლებს... სკოლის გამგეებმა გვაუწყონ შემდეგი მისამართით: **თბილისი: რუსთაველის პრ. № 22**, რედაქცია: „დროშა" **თომა ჩიქვანაიას.**—ამ მისამართით უნდა გადაიგზავნოს ფულიც. სკოლის გამგეებმა დაკვეთასთან ერთად ფულიც უნდა გადმოგზავნონ.

ყოველ მაზრას, დაბას, სოფლის საზოგადოებას შეუძლია ამოირჩიოს ერთი ხელმძღვანელი რომელიც შეადგენს ხელისმომწერთა სიას

მოჰკრეფს ფულს და იქონიებს გამომცემლობასთან მიწერ-მოწერას. ასეთ პირსაც მიეცემა გამომცემლობისაგან განსაკუთრებული ჯილდო.—წიგნი ამ პირების სახელზე გადაიგზავნება ფულის მიღებისთანავე.—ნისიათ წიგნები არავის არ გაეგზავნება.—

გამოსვლის შემდეგ წიგნები ეღირება 12 მანეთი

ნის. 785—2—1

გამომცემელნი: იერონიმ არსენიშვილი, თომა ჩიქვანაია, დავით კასრაძე.

საქ. სახ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის

ყველა

მაღაზიებში საქონლის ფასდაკლებით გაყიდვა გაგრძელებულია

კიდევ ერთი კვირით, ა. წ. თებერვლის 15-მდე

ნ. 764 2—2

აზთევზის

თევზის მაღაზია
პუშკინის ქ. № 18

ყოველდღე მოდის ახალი ორაგული

ფასი უთავოდ 50 კაპ. გირვანქა

ბლომად მოიპოვება საუკეთესო ზუთხი, ფასი 90 კაპ. გირ.

სალიანის შამაია, მარცვლოვანი ხიზილალა და სხვა.

1—1 აზთევზი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველო

აცხადებს, რომ ა. წ. 21 თებერვალს დილის 10 საათზე ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს შენობაში (ვაგზლის ქ. № 1.) დანიშნულია შერეული საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად: 1, 2 3 კლასის ბუფეტის სადგ. ბათომში და 3 კლასის სადგ. კიზილ-ბურუნში;

სავაჭრო კარავის № 2 სადგ. ევლახში; მიწის ნაჭერის სავაჭრო კარავის აშენების და იჯარით აღების უფლებით—სადგ. მცხეთაში დამწვარ სავაჭრო კარავის ნაცვლად, რომელიც იმყოფება ამ სადგურის პერონზე.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, დახურულ კონვერტებში ჩადებული განცხადებანი ჩაუშვან საბჭოს დარბაზის წინ სპეციალურად ამისათვის გამოკიდებულ ყუთში, ან გამოგზავნონ ასეთი ფოსტით თავის დროზე. კონვერტებზე უნდა იყოს წარწერა: „ამიერ-კავკასიის რკ. გზათა სამმართველოში ბუფეტების და სხვა წარმოებათა იჯარით გასაცემად 1925 წ. 21 თებერვალს დანიშნულ საჯარო ვაჭრობისათვის".

განცხადებებს, რომელიც შეტანილი უნდა იქნას რკ. გზათა სამმართველოს სახელზე, უნდა ჰქონდეს დაკრული 1) 3 მანეთიანი და 30 კაპეიკიანი სალერბო მარკა და 2) დართული უნდა ჰქონდეს ქვითარი წლიურ საიჯარო გადასახადის 10 პროცენტის შეტანის შესახებ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ამასთანავე შეჯიბრებაში მონაწილეთ ეძლევათ გაფრთხილება, რომ წარმოებათა იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მხოლოდ წარმოდგენილ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებითაც რკინისგზის მეურნეობის ინტერესების მიხედვით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 12—2 საათამდე გარდა კვირა უქმე დღეებისა (თბილისი, ვაგზლის ქ. № 3, ოთახი № 64). ნ. 788 1—1

სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოების საყურადღებოთ

მუშათა კოოპერატივის სამრეწველო განყოფილება

ჰყიდის სრულიად მთელ სელის ტომრებს.

კირკის ქ., № 7.

ნ. 786 1—1. გამგეობა.

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—5

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პრო. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—19

წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოების (არს. ნაცვლად **წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა**) მთავარ გამგეობის დადგენილების თანახმად გამოიცემს თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტის

მოსე ჯანაშვილის ქართული ლექსიკონი

ლექსიკონი 4 დიდ ტომად გამოვა.

თითო ტომში დაახლოვებით 800 გვერდი იქნება.

ოთხივე ტომი ხელისმომწერთათვის ეღირება 28 მანეთი.

პირველი ტომი გამოვა მაისში.

ხელის მოწერით შემოაქვთ ამ თავად თითო თუმანი (10 მ.)

ხელის მოწერა მიიღება: წ. კ. გამავრცელებელი ქართველთა საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (**წერა-კითხვ. საზ.**) სასახლის ქ. № 5 და „განათლების" წიგნის მაღაზიაში სილ. თავართქილაძესთან (ლენინის ქ № 6).

გარდა ამისა, ხელისმოწერით ფულის შეკრება მინდობილი აქვთ განსაკუთრებულ აგენტებს, რომელნიც აღჭურვილნი იქნებიან სათანადო მანდატებით.

წიგნი მხოლოდ ხელისმომწერთათვის იბეჭდება.

ნ. 787. 2—1. **გამგეობა.**

სრულიად რუსეთის „ნავთის სინდიკატის"

(ბაქო—ბუზანოვის სახელობის სანაპირო ქუჩა)

ახლო-აღმოსავლეთის რაიონული კანტორა

ჰყიდის და იღებს შეკვეთებს

„ორტაქტიან ნავთის მამოძრავებლებზე"

„ცატ" ყ. სჯალის ცნობილ ქარხნისა ვორონეჟში. მამოძრავებელი „ცატო" მცირე სიძლიერისა 8-დან 25 ცხენის ძალამდი განზრახულია უმთავრესათ სოფლის მეურნეობაში და შინამრეწველობაში გამოსაყენებლათ, ელექტრო-სადგურებისათვის და ღრმა ჭების საქაჩავებისათვის.

მამოძრავებელის დამახასიათებელი თვისებები:

1. უბრალო კონსტრუქცია, ის ადვილათ გამოსაყენებელია, ადვილათ შეიძლება მისი ამუშავება, არ მოითხოვს მუდმივ მოვლას.
2. საუკეთესო ღირსების მასალები და კეთილსინდისიერი მუშაობა.
3. მამოძრავებელის ცალკე ნაწილების დაშლა და შეგროვება და მათთვის თვალყურის დევნება—ხელმისაწვდომია უსწავლელი ადამიანისთვისაც.
4. ნატურალური გამოუხდელი ნავთი იხარჯება 0,65 გირ. (ერთ გირვანქაზე ნაკლები) ერთ ძალაზე საათში.
5. მამოძრავებელი მაგარი, მტკიცე და სასარგებლოა, არ მოითხოვს მუდმივ მოვლას და სავა.
6. **ხელმისაწვდომი ფასი.**

315 1—1

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილება

იწვევს მოქალაქე ალექსანდრე გიორგის-ძე ერისთავს საქმეზე ძიებისა გამო „ზაკტპო"-სი მასთან ფულების შესახებ მისამართის საჩვენებლად, რისთვისაც ეძლევა მას ერთი თვის ვადა, დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განხილულ იქნება მის დაუსწრებლად.

ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების გამგე ახმეტელი.

2709 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—5

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.
საღამოს—5—6 საათ.

25—2

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის ახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი ისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—16

ექიმი

ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა

მიიღება საღ. 7—8 საათ.
ლენინის (ოლღას ქ. № 49)
ტელეფ. 4—85 25—17

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვს პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 3203. 25—5

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—14

მედიცინის დოქტორი კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

სავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარ და გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13 ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4 ნის 372 —100—48

გოლოვინის პროსპექტიდან გადავიდა კამოს ქუჩაზე № 17 (დიდი მთავრის ქ. ვორონცოვის ხიდის ახლოს)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა

25—1.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—15

ექიმი

ალექსანდრა კორქია

მეანობა და ქალთა სნეულებანი
მიღ. ავადმყ. 4—6 ს. საღ.
პლეხანოვის პრ. № 61

25—4.

დაიკარგა საარიცხვო ბარათი № 308, მოცემული თბილისის მე-2-რე უბნის კომისარიატიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ ვასილ ივანეს ძე კვალიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 311 1—1

დაიკარგა ნაციონალური პასპორტი, მოცემული სპარსეთის გენერალ. საკონსულოდან № 731 | 699. ბაღდან სერგოს ძე ერიციანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 312 1—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მონაწერი „3" № 15159, ი[illegible]ნ ოქროპირის ძე ტყეშელაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 313 1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი, მოცემული თბილისის დამზღვევი კასიდან გიორგი გაბაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 314 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ფილარეტ ნიკოლოზის ძე გიორგობიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 316 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ივანე გლახას ძე სარქისოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 318 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 67 1924 წ. მოცემული სალხინოს რაიონის აღმასკომისაგან ვასილი ნიკოლოზის ძე დგებუაძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 317 1—1

ტირაჟი—17.407

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სასახლის ქუჩა №4